ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## თბილისი-ვენის ბორტი კატასტროფას გადაურჩა

მფრინავმა თემურ თოლორაშვილმა ბორტი უვნებლად დასვა



გვ.2

ორშაბათი, 6 სექტემბერი, 2021

№165 (8694)

ფასი: 60 თეთრი

# „გახარიას „ფეიკპარტია“ ივანიშვილმა შექმნა და მათ ერთი პატრონი ჰყავთ რუსეთში“



გვ.2

## თაკო ჩარკვიანი: „რატომ არ მიაწოდეს ლომაიამ და ბოკერიამ ინფორმაცია პრეზიდენტ სააკაშვილს?!“



მე ძალიან კარგად მახსოვს პატარკაციშვილის პერიოდი. გარდაცვლილებზე ან კარგს ლაპარაკობენ, ან არაფერსო. მომიტევეთ, მაგრამ მე მაქვს უფლება, რომ კარგი ნამდვილად არ ვილაპარაკო, ოჯახი დამისვა ნაღმზე. რაღაც ინფორმაციები მაქვს და ამიტომ გავყვირი ბოლო ხმაზე. რუსული ძალა დიდი დოზით იყო შემოსული. მე არ შემიძლია, ხელი დავადო ადამიანებს, მაგრამ, კითხვა რომ დავსვა, შემიძლია და ვსვამ ამ კითხვას.

## „ოცნებამ“ შეიძლება მალე ვადამდელი არჩევნები დანიშნოს“



გვ.3

მამუკა გამყრელიძე: „ახლა საყურადღებო საპარლამენტო სიტუაციაა და არა ეს საარჩევნო ბატალიები“

„ოცნების“ ადგილზე რომ ვიყო, გახარიას მოვეფერებოდი“



გვ.3

## „გახარია თბილისის მერი ვერ გახდება, მაგრამ მერზე გავლენა ექნება“

ლევან ალაფიშვილი: „კალაძე-გახარიას შეხვედრა კალაძემ დამალა, რადგან შეეშინდა, შიგნიდან ვინმე რამეს ხომ არ „მიჩალიჩებსო“. ვერ გაერკვა, იფიქრა, ხაფანგი ხომ არ არისო. შემდეგ ისე შეფუთა პარტიამ, კობახიძემ, ფული მოგვთხოვაო, რომ გახარიამ ძალიან კარგად გამოიყენა“

გვ.4

## „სააკაშვილს უკრაინაში არანაირი გავლენა არა აქვს“

მირიან მირიანაშვილი: „ამერიკელები ივანიშვილ-სააკაშვილის გაუთავებელმა პოლიტიკურმა თამაშებმა გაანაწყენა“



## პოლიციამ დიდძალი იარაღი ამოიღო და 6 პირი დააკავა




გვ.5



## ზესტაფონის სასაფლაოზე ირაკლი ღიბრაძე მოკლული იპოვეს

ISSN 1987-9385

**6** თალიბებმა ქალების მიტინგი ცრემლსადენი გაზით დაშალეს

**4** საქართველოში ემიგრანტებს უცხოელ ინვესტორებზე მეტი ფული შემოაქვთ

**2** თბილისში 111 წლის ლეონილა გვაჯავა კოვიდ 19-ისგან განიკურნა

**6** იტალიაში ვაქცინაცია შეიძლება სავალდებულო გახდეს

# „გახარიას „ფეიკპარტია“ ივანიშვილმა შექმნა და მათ ერთი პატრონი ჰყავთ რუსეთში“

## თაკო ჩარკვიანი: „რატომ არ მიაწოდეს ლომაიამ და ბოკერიამ ინფორმაცია პრეზიდენტ სააკაშვილს?!“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ტვ პირველმა“ ფარული სატელეფონო ჩანაწერები გაავრცელა, რომლითაც ირკვევა, რომ ბიძინა ივანიშვილს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთში წასვლა უნდოდა. მეტიც, ჩანაწერებით ირკვევა, რომ ივანიშვილს კრემლთან ღია კომუნიკაცია ჰქონდა და პუტინსაც ელაპარაკებოდა შუამავლების მეშვეობით.**

**ამ ინფორმაციამ „კანონი და სამართალის“ ლიდერ თაკო ჩარკვიანს კითხვები გაუჩინა — ამ ინფორმაციაზე წვდომა უნდა ჰქონოდა საქართველოს მაშინდელ უშიშროების საბჭოს და რატომ არ მიაწოდა მაშინ ის პრეზიდენტ სააკაშვილს. ჩარკვიანი ამ კითხვებით საბჭოს მაშინდელ ხელმძღვანელ კახა ლომაიასა და მის შემდგომ ხელმძღვანელ გიგა ბოკერიასაც მიმართავს. რა ეჭვები გაუჩნდა თაკო ჩარკვიანს და რა არგუმენტები გაუმყარა გიორგი გახარიას ბოლო ინტერვიუმ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ თაკო ჩარკვიანი საუბრობს.**



**თაკო ჩარკვიანი:**

— გახარიას შესახებ მე მაქვს ჩემი ინფორმაცია, რასაც არ ვაჟღერებ ხოლმე. ეს ჩვეულებრივი „ფეიკპარტიაა“. თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა ილაპარაკა, მინდა, შეიქმნას ისეთი ოპოზიციაო... და შექმნა მან ასეთი ოპოზიცია. რაც თქვა იმ კაცმა, გააკეთა.

მოდით, ლოგიკით გავშიფროთ გახარიას ინტერვიუ. ივანიშვილმა თქვა, მივდივარო და წავიდაო. შე დალოცვილო, პირველი პირი იყავი ქვეყნის, პრემიერი და ამბობ, როდესაც ვნახე, ვერაფერს ველარ ვაკეთებდი, წავედიო. რომ არ აკეთებდი, ვინ არ გაკეთებინებდა?! თუ ივანიშვილი პატიოსნად წავიდა, ე.ი. შენ იყავი პირველი პირი.

***— ამ ინტერვიუდან ერთ პასაჟსაც გაგახსენებთ, სადაც ის ამბობს, თავის დროზე ღარიბაშვილი მე დავნიშნე თავდაცვის მინისტრად, რადგან ბევრს მისი შს მინისტრობა უნდოდათ და ჩავთვალე, ამ პოსტზე უკეთესი იქნებოდაო.***

— კი ბატონო, ესეც იყო. ელემენტარულად, კარგად უნდა მოუსმინო ინტერვიუს და გააანალიზო. ინტერვიუს მიღმა მე რაც ჩემი ინფორმაცია მაქვს, ჩვეულებრივი ცრუ ადამიანი იჯდა ეთერში. კითხვები დავსვათ მე და თქვენ. ის იყო შს მინისტრი და 20 ივნისის თვალების დათხრის შემდეგ დააწინაურეს და გახდა პირველი პირი; მის დროს შემოვიდა კოვიდის მილიარდები და სად დაიხარჯა, პასუხგაუცემელია; ნამახვანჰესი, მის მიერ ხელმოწერილი კორუფციული პროექტი, მის დროს იყო; არ მითხრათ, რომ ხაზარაძეს ვუჭერ მხარს, მაგრამ ანაკლიის პროექტის განადგურება მთლიანად გახარიას ზურგზეა. თუ ის პირველი პირი იყო და ამბობს, ივანიშვილი პატიოსნად წავიდაო, მაშინ აიღოს პასუხისმგებლობა. რეალურად არსად არ არის წასული, უბრალოდ, ივანიშვილის ხელქვეითია და ორივეს პატრონი რუსეთში ჰყავს.

***— იმას გამორიცხავთ, რომ გახარია კი იყოს ივანიშვილის პროექტი, მაგრამ ეს არ იცოდა „ოცნების“ დღევანდელმა ხელმძღვანელობამ?***

— შესაძლებელია, ეს იყოს კლანური დაპირისპირება, მაგრამ მთავარი, რაც ჩვენ გვაინტერესებს, არის ის, რომ ეს არის თამაში, რომელიც შექმნა ივანიშვილმა. ყველას, რა თქმა უნდა, არ ეცოდინება ამ თამაშის შესახებ „ოცნებაში“, უბრალოდ, ტვინი უნდა გაანძრიონ და მიხვდნენ.

***— განსაკუთრებით რატომ ებრძვიან მას მდინარაძე, კობახიძე და ღარიბაშვილი, მაგრამ არა კალაძე?***

— ღარიბაშვილი ცალკე დატოვეთ. ღარიბაშვილი, პრაქტიკულად, მისი შვილობილია და მას თავი დაანებეთ. მას სულ ფეხებზე ჰკიდია ქვეყნის პრემიერობა. ზუსტად ისევე აქვს გადასარჩენი თავისი უდიდესი კორუფციული ქონება, როგორც ივანიშვილს. ამდენად, ამ თამაშში ყველაფრის საქმის კურსში იქნება ღარიბაშვილი, რასაც ვერაფრით ვერ ვიტყვი მდინარაძეზე. ეს ცალკე თემაა. აქ შეიძლება იყოს კლანური დაპირისპირება. კაცმა გააკეთა და გაიმზადა ახალი „ფეიკ“ ოპოზიციური პარტია თავის გადასარჩენად. არასოდეს იტყვის ამ პარტიაზე, ჩემიაო, არც მერე იტყვის, იმიტომ, რომ საქართველოში მშვიდად უნდა იცხოვროს და ვიღაცამ უნდა დაიცვას თავისი ქონებით.

ის ჩანაწერი, რომელიც ნოდარ მელაძის გადაცემაში მოვისმინეთ, რას ნიშნავს?! რუსეთია შემოსული და რამდენი ხანია, ვყვირი ამას?! მეტი რა ვქნა? რა დავამტკიცო?! ამიტომ წავედი ოპოზიციაში-მეთქი, ხალხო! ჩემთვის კარი ხომ არავის მიუკეტავს?! მივიღე ინფორმაცია და თვალები ამივიდა შუბლზე. მართალია, ის ინფორმაცია, რომელიც შაბათს მოვისმინეთ, მე არ მქონია, ეგ ინფორმაცია უშიშროებას უნდა ჰქონოდა, მაგრამ რუსული კურსის გატარება რომ უნდოდა, ამაზე რამდენჯერ მილაპარაკია მარტო შენთან! ამის გამო წავედი ოპოზიციაში. შეხედეთ, მან დაიწყო დასავლეთის მომხრეების მოცილება „ოცნებიდან“, ალასანიადან დაიწყო და, ვინც ამის მომხრე იყო, ყველა მოიცილა.

2017 წელს მამაჩემის მიმართ აგრესია რატომ წამოვიდა? მოკლეს კაცი, პრაქტიკულად. ინსულტი მიიღო „საქართველო და მსოფლიოს“ ბინძური პასკვილის შემდეგ. 20 წუთში განვითარდა ინსულტი. რატომ გააკეთეს ეს? იმიტომ, რომ ეთერში თქვა, მიშას სიძულვილს ქვეყანას ნუ გადავაყოლებთ და საქართველოს ომი არ დაუწყიაო. ადრე გვებრძოდნენ მუსულმანები და ახლა გვებრძვიან რუსულმანებიო. ამას მოჰყვა რამდენიმე თავდასხმა და განსაკუთრებული სისასტიკით ნახსენები გაზეთი იყო. ახლა კი ვიცით, საიდანაც ფინანსდება და ვინ დგანან მათ უკან. წლები ჭაჭია აფინანსებდა, შემდეგ — ნუგზარ ფოფხაძე. მეტი რა ვთქვა?!

დღეს უკვე ყველაფერი ნათელია. იქ ღარიბაშვილი ამბობს, არ გვჭირდება ევროკავშირის დახმარება და დასავლეთი არ არის ჩემი უფროსიო. დასავლეთი ჩვენი მეგობარია, ივანიშვილია ღარიბაშვილის უფროსი და ესეც ვიცით. იქ კალაძე ეუბნება ბალტიის ქვეყნებს, თქვენს ქვეყანას მიხედეთო.

***— ამ განცხადების მიუხედავად, კალაძე, სხვებთან შედარებით, მაინც მოზომილია. რატომ?***

— არჩევნები მიმდინარეობს და არჩევნების კორექტულობაში შედის, თორემ რა მოზომილობაა, რომ მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტს უთხრა, შენს ქვეყანას მიხედეო. გახარიამ კორუფციულ სქემებზე პასუხი არ აგო. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ძალაუფლება არ ეყოთ ივანიშვილსა და ღარიბაშვილს, რომ კორუფციულ სქემებზე პასუხი მოეთხოვათ?! როგორ ხდება ეგ ამბავი, რომ დამნაშავეს არჩევნებს აწარმოებინებენ?

***— საინტერესოა, რატომ არ ამოქექეს? იმავე კვირიკაშვილსა და მის გარემოცვასაც როგორ დაემუქრნენ, ესეც ხომ გვახსოვს და რატომ არ ხდება იგივე გახარიასთან მიმართებით?***

— რა თქმა უნდა. გახსოვთ გახარიას რაიმე გადაბრუნებული სიტყვა ივანიშვილის მიმართ?

***— უხილავი ხელიო, რომ ამბობდა, მხოლოდ ეს მახსოვს.***

— ამბობს, წესიერად წავიდა ივანიშვილიო. ამას რომ პოლიტიკოსი იტყვის, რომ თურმე წავიდა ივანიშვილი და იმას თუ ვერ გამოიცნობ, რომ ეს არის ივანიშვილის „ფეიკი“, მაშინ პოლიტიკოსობაზე თავი არ უნდა დადო ადამიანმა, ან აწყობთ ვიღაცებს და ხელოვნურად თვალს ხუჭავენ ამაზე.

***— გახარია ამბობს, რომ რაღაცა ახალი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება უნდა და ამიტომ არ ლანძღავს ივანიშვილს, მაგრამ გუშინ გვითხრა სააკაშვილზე, კარიკატურააო. ეს რას ნიშნავს?***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ივანიშვილს 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთში წასვლა უნდოდა“

ტვ პირველის „შაბათის ეთერმა“ ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო საუბრების აუდიომასალა მოიპოვა.

აუდიოფაილები 2008 წლის სექტემბრით თარიღდება. საუბრები აგვისტოს ომის შემდეგ შედგა, მაშინ როცა რუსი სამხედროები ჯერ კიდევ შუაგულ საქართველოში იყვნენ. აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ ივანიშვილს კრემლთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და პუტინს შუამავლების საშუალებით ესაუბრებოდა.

რუსეთის ელჩის პოსტი საქართველოში ამ დროს ვიაჩესლავ კოვალენკოს ეკავა. ქვეყნიდან წასვლის წინ მას რამდენიმე ადამიანთან გამომშვიდობება უნდა, მათთან, ვისაც ყველაზე მეტად ენდობა და ვისაც კრემლის კაცად მიიჩნევს.

საელჩო კავშირზე ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკის“ მაშინდელ მაღალჩინოსანთან, გიგა ჩრდილელთან გადის და ივანიშვილს გამოსამშვიდობებელ საღამოზე იბარებენ.

საუბარში ისმის პირველი დავალება. გიგა ჩრდილელს ბიძინა ივანიშვილი სთხოვს რუსეთის საელჩოს მოუბოდიშოს იმისთვის, რომ გამომშვიდობებას პირადად ვერ ახერხებს, თუმცა ჰპირდება, რომ მჭიდრო ურთიერთობას მათი მოსკოვში გამგზავრების შემდეგაც შეინარჩუნებს.

ბიძინა ივანიშვილი აგვისტოს ომის შემდეგ, 1 თვეში, რუსეთის ხელისუფლებას უთვლის, რომ საქართველოს დატოვებას და რუსეთში გადაბარგებას აპირებს.

ჩანაწერში ჩრდილელთან საუბრისას, ივანიშვილი რუსეთის ელჩთან მიმართებაში იყენებს ფრაზას, „ბევრ რამეს შევაცვლევინებდი“, რაც ადასტურებს იმას, რომ ოლიგარქი




განსაკუთრებული გავლენებით სარგებლობდა.

— ადრე რომ ჩამოსულიყო, ეს სისულელეები არ მოხდებოდა, — ამბობს ივანიშვილი სატელეფონო საუბრისას.

ჩანაწერში ივანიშვილი ორჯერ მკაფიოდ ამბობს, რომ რუსეთში საცხოვრებლად გადასვლას აპირებს. თუმცა ვიდრე მოსკოვში არ გადაბარგდებოდა, არ უნდოდა, რომ ამის შესახებ ვინმეს გაეგო, მისი და პუტინის მჭიდრო კავშირები მანამდე გამოაშკარავებულიყო, ვიდრე საქართველოს არ დატოვებდა.

ელჩ კოვალენკოს, რომელიც იძულებულია, ომის შემდეგ ქვეყანა დატოვოს, ბიძინა ივანიშვილი პატრონობას ჰპირდება და საქმიანი წინადადებებით შეხვედრას უკვე მოსკოვში უანონსებს.

გიგა ჩრდილელი მილიარდერის დავალებების შესრულებას მალევე იწყებს. ის რუსეთის საელჩოს წარმომადგენელთან კავშირზე გადის და როგორც ივანიშვილმა დაავალა, შეხვედრას საელჩოს ოფიციალურ პირებთან ათანხმებს.

„ტვ პირველი“ გიგა ჩრდილელს დაუკავშირდა. მან დავალებების მიღება და კავშირი უარყო, თუმცა კოვალენკოსთან ნაცნობობა დაადასტურა.

# სუბარი: „გიგა ჩრდილელი ივანიშვილთან ნაციონალებმა აგენტად შეაგზავნეს“

მედიაში გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებს, რომლებშიც, სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილი და გიგა ჩრდილელი ფიგურირებენ და რომელთა ავთენტურობა დადგენილი არ არის, მმართველი გუნდის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ასეთი ჩანაწერების გამოქვეყნება მმართველი პარტიის დისკრედიტაციას ემსახურება. ირაკლი კობახიძის განცხადებით, საქმე ეხება 2011 წლამდე პერიოდის ჩანაწერებს.

პარტიის თავმჯდომარე განმარტავს, რომ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებში ერთ-ერთი მოსაუბრე მხარე არის გიგა ჩრდილელი. კობახიძის თქმით, ის იყო ვანო მერაბიშვილის მოკავშირე და შეგზავნილი „ქართუ ბანკში“.

ფაქტს გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი. სოზარ სუბარი გავრცელებულ ჩანაწერებს ფაბრიკაციას უწოდებს და განმარტავს, რომ მისი გავრცელების მიზანს „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია წარმოადგენს.

— ეს სავარაუდო ჩანაწერი, სავარაუდო ფაბრიკაციაა და არის მანამდე გაკეთებული, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდოდა, ანუ 2011 წლის ოქტომბრამდე. პირველივე წლებში ის მკაფიოდ საუბრობდა, რომ ჰყავდა შემოგზავნილი აგენტი, გიგა ჩრდილელის სახით, რომელიც იყო შემოგ-



ზავნილი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიერ. მან ეს იცოდა და სპეციალურად საუბრობდა გიგასთან ისეთ რამეებს, რაც მას უნდა მიეტანა ნაციონალურ მოძრაობასთან, აქედან ჩანს, როდინდელია ეს ჩანაწერი. ამ ჩანაწერებში რომ რაიმე სერიოზული ყოფილიყო, მაშინ ისინი გამოქვეყნდებოდა 2012 წლის არჩევნებამდე, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

# თბილისში 111 წლის ლეონილა გვაჯავა კოვიდ 19-ისგან განიკურნა

რესპუბლიკურ საავადმყოფოში 111 წლის პაციენტი ლეონილა გვაჯავა კორონავირუსისგან გამოჯანმრთელდა. მას კლინიკიდან დღეს, 6 სექტემბერს, გაწერენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რესპუბლიკური საავადმყოფოს პრესსამსახურში განუცხადეს, პაციენტი რესპუბლიკურ საავადმყოფოში კორონავირუსის დადასტურებიდან მალევე შეიყვანეს.

— ჩვენთან მკურნალობის კურსი თერაპიული მიმართულებით გაიარა, ამჟამად თავს ჯანმრთელად გრძნობს და ხვალ, 14:00 საათზე ვაპირებთ, რომ გავწეროთ. პაციენტი 1910 წელსაა დაბადებული. ის აბსოლუტურად ემორჩილებოდა ექიმების ყველა მითითებას. ძალიან მოტივირებული იყო, რომ გამოჯანმრთელებულიყო და მკურნალობის კურსი სრულად ჩაიტარა. მისი შვილიც ჩვენს კლინიკაშია მოთავსებული, დაახლოებით 80 წლის არის. ისიც თავს უკეთესად გრძნობს, — აცხადებენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

# თბილისი-ვენის ბორტი კატასტროფას გადაურჩა

## მფრინავმა თემურ თოლომაშვილმა ბორტი უვნებლად დასვა



გუშინ, 5 სექტემბერს, საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში — რეისს 681-ს, რომელიც თბილისიდან ვენაში მიემგზავრებოდა, ტექნიკური პრობლემა შეექმნა. ის 2 საათის განმავლობაში საქართველოს საავიაციო სივრცეში წრეზე დაფრინავდა, რის შემდეგაც უვნებლად დაჯდა.

თვითმფრინავი აირზენას ეკუთვნის. მისი გენერალური დირექტორის რომან ბოკერიას განცხადებით, აფრენისას შასი არ დაიხურა. პილოტმა თემურ თოლომაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 6 ტონა საავიაციო ნავთი დაეხარჯა და შემდეგ დამჯდარიყო უსაფრთხოდ.

ამით თემურ თოლომაშვილმა 180 მგზავრის სიცოცხლე გადაარჩინა.

ფეისბუქში მფრინავის ფოტო გავრცელდა წარწერით „ქართველი გმირი პილოტი“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებამ“ შეიძლება მალე ვადამდელი არჩევნები დანიშნოს“

## მამუკა გამყრელიძე: „ახლა საყურადღებო საპარლამენტო სიტუაციაა და არა ეს საარჩევნო ბატალიები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, ბევრი სვამდა კითხვას, თუ რას იზამდა გახარია, დააყენებდა თუ არა საკუთარ კანდიდატურას. ბევრს მიაჩნდა, რომ ის პრემიერი იყო, კვლავ პრემიერობაზე ჰქონდა ამბიცია და მერობაზე არ წავიდოდა. თუმცა, როგორც ინფორმაციები გამოვიდა, სხვა კანდიდატი ვერ ნახა და იძულებული გახდა, საკუთარი კანდიდატურა დაეყენებინა. როგორია თქვენი შეფასებები?***

– რაც შეეხება გახარიას, მე აბსოლუტურად ვეთანხმები იმათ აზრს, ვინც ამბობს, რომ ის იძულებული გახდა, საკუთარი კანდიდატურა დაეყენებინა. იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც უნდა, რაღაცა წარმატებას მიაღწიოს, აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ძლიერი მერობის კანდიდატი. სამწუხაროდ, გახარიამ ვერ მოახერხა იმ კანდიდატის დათანხმება, რომლის დასახელებასაც აპირებდა...

***– არჩილ არველაძე ვერ დაითანხმაო, ასე ითქვა.***

– დიახ, ასეა. არველაძე რომ დაეთანხმებინა, სერიოზული კანდიდატი ეყოლებოდა. ეს საკმაოდ საინტერესო იქნებოდა ქალაქისთვისაც და ზოგადად პოლიტიკური ველისთვისაც, თუმცა არ მოხერხდა. ამიტომ იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა. მისგან ეს თავზეხელაღებული და სასოწარკვეთილი ნაბიჯი იყო, იმიტომ რომ ეს საკმაოდ საშიშია მისთვის. გახარია რომ ვერ გავიდეს მეორე ტურში, ეს მისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. რეალურად, ახლა მისი მოწინააღმდეგე უფრო ნაციონალური მოძრაობა ხდება, ვიდრე კალაძე.

***– ანუ ბრძოლა მთავარი ოპოზიციისთვის მიმდინარეობს?***

– დიახ, ბრძოლა მეორე ადგილისთვის. ეს არის ბრძოლა პირველი ოპოზიციური ადგილის მოპოვებისთვის. ახლა ვხედავთ, რომ გახარიამ სააკაშვილის ძალიან აქტიური ლანძღვა დაიწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მას უნდა იმ ხმების წამოღება, რომლებსაც განქოცებული ხმები ჰქვია. ის ხმები, რომლებმაც უკვე დაკარგეს „ქართული ოცნებისა“ და ივანიშვილის ინტერესი და ეძებენ რომელიღაც სხვა ძალას, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას არ გაეკარება. გახარიამაც სწორედ ასეთი ხაზი აიღო.

***– წაიღებს იმათ ხმებს, ვისაც აღარც ნაცი უნდა და აღარც ქოცი?***

– კი, ასე იქნება, ნაციონალების ხმებს კი ვერ წაიღებს. რომ იტყვიან, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი გამოკრისტალდა. მათაც ძალიან ბევრი დაკარგეს, მაგრამ, ვინც დარჩა, ის არის ერთგული ამომრჩეველი, რომელიც ყოველთვის ხმას მისცემს არა ნაციონალურ მოძრაობას, არამედ მიხეილ სააკაშვილს. ამიტომაც დაიწყო გახარიამ სააკაშვილის ლანძღვა. ის ამომრჩეველი, რომელიც „ოცნების“ აღარ არის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ნაციონალების დაბრუნებას, ძალიან ბევრია. გახარია კი ცდილობს, სწორედ ასეთი ამომრჩევლის გული მოიგოს. ბოლო პერიოდში ღიად გამოჩნდა მისი ეს სტრატეგია, თუმცა რისი მომტანია, არ ვიცი.

***– აქვს შანსი, რომ მეორე ადგილი დაიკავოს?***

– ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად აქტიურად დაიწყებს მასთან ბრძოლას „ქართული ოცნება“. ჩვენ რასაც ვხედავთ, ძალიან გააქტიურდნენ. ძალიან აქტიურად ებრძვის ხელისუფლება გახარიას. ნახეთ, რა ხდება? გახარია დაჯდა შუაშისტებისა და ყოფილი ქოცების ხმებზე. შესაბამისად, ცდილობენ, რაღაცნაირად დააკნინონ გახარია, რომ იმ ჯერ კიდევ ქოცებმა, რომლებიც ყანყალებენ და არ იციან, საით წავიდნენ, იქნებ გახარიას არ მისცენ ხმა, თუმცა, ჩემი აზრით, არ გამოვა ეგ ამბავი და სულ ტყუილად ლანძღავენ. პირიქით, „ოცნების“ ადგილზე რომ ვიყო, გახარიას მოვეფერებოდი. ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველი ჩათვლიდა, რომ გახარია ბიძინა ივანიშვილის კაცია და უფრო არ მისცემდნენ ხმას. თუმცა ეს პოლიტტექნოლოგების საკითხია და თვითონ გაარკვიონ. ფაქტი ის არის, რომ ამომრჩეველი ძალიან გამწარებულია იმ გაჭირვებით, იმ ძალიან მძიმე ეკონომიკური სიტუაციით, რაც საქართველოშია და რეალურად არც იმის ნიშნები ჩანს, რომ ვინმე, ვინც არ უნდა იყოს, მოვა და გამოასწორებს სიტუაციას. გამოდიოდა გუშინ ღარიბაშვილი და ამბობდა, 10 წელი გვინდა კიდევ, რომ საქართველო გავაბრწყინოთო. კარგით, რა, კიდევ რამდენი 10 წელი უნდა მოგცეთ ამომრჩეველმა?! უკვე სასაცილოა ეს ყველაფერი.

***– გახარია სანამ საკუთარ კანდიდატურას წარუდგენდა თბილისის ამომრჩეველს, კახი კალაძეს შეხვდა. რატომ შეხვდა და შემდეგ რატომ უარყო ეს ფაქტი?***

– მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ მართლა იყო ვაჭრობის თემა. ეს პოლიტიკაა, პოლიტიკა კი ვაჭრობაა. შესაძლოა, მართლა იყო ასეთი საუბარი, მე არ დავაყენებ ჩემს კანდიდატურას, სამაგიეროდ, შენ სხვა ბენეპიტები მომეციო. პოლიტიკაში ასეთი რაღაც მოსულა.

***– ამაზე სავაჭროდ მივიდა გახარია?***

– ნამდვილად არ გამოვრიცხავ. აბა, ცოტა აზრს მოკლებულია ის, რომ მე მივედი და შევატყობინე კახა კალაძეს, აი, მე ვაყენებ ჩემს კანდიდატურას. რა ისეთი ძმაკაცები არიან, რომ, არიქა, რამე არ სწყენოდა კახა კალაძეს გახარიასაგან! და ვინმე ფიქრობს, რომ ასეა? ეს უფრო ვაჭრობის თემა იყო. პოლიტიკაში მიღებული პრაქტიკაა, როდესაც ორი ერთმანეთთან დაახლოებული პარტია უთმობს ერთ ქალაქს პირველს და თვითონ მეორე ქალაქში აყენებს კანდიდატურას.

***– გახარიას ოპოზიციაში გადასვლის დღიდან კალაძეც და გახარიაც კორექტულობას ინარჩუნებდნენ, არასდროს გაულანძღავთ ერთმანეთი. სულ იყო საუბარი, მოკავშირეები ხომ არ არიან, გაერთიანებას ხომ არ აპირებენო. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ახლა არა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არ გამოვრიცხავ, რომ გახარიას პარტიამ და „ქართულმა ოცნებამ“ კოალიციური მთავრობა შექმნან, რადგან ღიად გამოჩნდა, რომ არც ნაციონალურ მოძრაობასთან და არც მასთან დაახლოებულ პარტიებთან გახარია არ დადგება. გახარია დისტანციას ინარჩუნებს. ის არც სხვა პარტიებს ეკარება, იქნება ეს „ლელო“ თუ ვაშაძის პარტია.

***– რა შანსები აქვს მელიას? ცდილობენ, გაერთიანებულ ოპოზიციად წარმოაჩინონ თავი და ეს რამდენად გამოვა?***

– არანაირი გაერთიანებული ოპოზიცია ახლა არ არსებობს, ყველა თავისთვის არის და ამ ეტაპზე არც შეიძლება იყოს. დღეს ყველა პარტია გადის თავისი ძალებით, არ არის არანაირი ბლოკები, შესაბამისად, ყველა თავის თამაშს თამაშობს. აქ სულ სხვა რაღაცაა მთავარი. მე, მაგალითად, თქვენს და ამომრჩევლის ყურადღებასაც მივაქცევდი იმ სიტუაციას, რომელიც პარლამენტში შეიქმნა.

***– რა სიტუაცია შეიქმნა?***

– ახლა უნდა გავიდეს საკონსტიტუციო ცვლილებებზე კანონის განხილვა. ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი. ქალაქის მერი ვინ იქნება, მეასეხარისხოვანი საკითხია. ახლა გადაწყდება საპარლამენტო არჩევნების ბედი, როგორი სისტემით ჩატარდება 2024-ისა თუ 2022-ის არჩევნები. არც ვადამდელის გამორიცხვა შეიძლება, რადგან, თუ ვერ დააგროვებს 43%-ს, მაშინ ძალიან მძიმე სიტუაცია შეექმნება „ქართულ ოცნებას“, უბრალოდ, იძულებული გახდება, ჩაატაროს ვადამდელი არჩევნები. ამაზე ფიქრობენ, რა თქმა უნდა, ამიტომ, არ გამოვრიცხავ, შეგნებულად ჩააგდონ საკონსტიტუციო ცვლილებები და ვადამდელი არჩევნები მოიწვიონ ძველი კანონმდებლობით, ანუ შერეული საარჩევნო სისტემით,



„ოცნების“ ადგილზე რომ ვიყო, გახარიას მოვეფერებოდი“

მაჟორიტარულ-პროპორციულით. ახლა საყურადღებო საპარლამენტო სიტუაციაა და არა ეს საარჩევნო ბატალიები.

***– მაინც რა მოლოდინი გაქვთ, როგორ გადანაწილდება საარჩევნოდ პროცენტები?***

– მე მაინც მგონია, რომ ამ ვითარებაში, როდესაც ოპოზიციური პარტიები მოისუსტებენ და იმ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფონზე, რომელიც ხელში უჭირავს ხელისუფლებას ძალიან მკვეთრად, ალბათ მოახერხებენ 43%-ზე მეტის აღებას.

***– ნაცმოძრაობამ გასული კვირის მიწურულს შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწერა. ამ სიტუაციაში ეს რას ცვლის, ჰქონდა ამას რაიმე აზრი და მნიშვნელობა?***

– ეს აბსოლუტურად არაფრის მომცემი ნაბიჯია. გამოდიან და გაიძახიან, ხელისუფლება კედელთან მივაყენეთო. რა კედელთან მიაყენეს. კედელთან მიყენებული მაშინ იქნებოდა, თავიდანვე რომ მოეწერათ ხელი და თავიდანვე შესულიყვნენ პარლამენტში. ახლა ასე დაგვიანებით და პოსტფაქტუმ რაღაცების კეთება, რა გითხრათ, აბა, აბსოლტურად აღარაფერს ცვლის. რა, ამით ქულების დაწერა უნდათ შარლ მიშელთან?! ეს აბსურდია! დღეს ოპოზიცია ვერ აჩვენებს სერიოზულ ძალას, ხალხი უყურებს ამ პროცესს და ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული. ეს იქნება ხელჩაქნეული არჩევნები. ჩემი აზრით, ძალიან ცოტა ხალხი მივა და ეს იქნება კატასტროფა. თუმცა, რა ვქნათ, მივიღებთ იმას, რასაც მივიღებთ.

# „გახარია თბილისის მერი ვერ გახდება, მაგრამ მერზე გავლენა ექნება“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, თქვენ რით ხსნით გიორგი გახარიას გადაწყვეტილებას, კენჭი იყაროს და კახა კალაძეს დაუპირისპირდეს?***

– გახარია პოლიტიკაში შემოსულია იმ პერსპექტივით, რომ დაიკავოს ის ნიშა, როდესაც ის ყველასთვის საჭირო გახდება. ძალიან კარგად იცის, რომ ჯერ არ აქვს საკმარისი რესურსი, რომ თვითონ იყოს გადაწყვეტილების მიმღები და პოლიტიკური პროცესების ლიდერი. შესაბამისად, კონკრეტულ მოცემულობაში, სავარაუდოა, რომ ამით იხელმძღვანელა, როდესაც ამ ბრძოლაში შევიდა.

ეს მოცემულობა კი იძლევა შესაძლებლობას არსებული სოციოლოგიური კვლევებით, რომ 2 ოქტომბერს გამარჯვებული ვერ გამოვლინდეს და არჩევნების მეორე ტური გახდეს საჭირო. შეიძლება, გახარია თბილისის მერი ვერ გახდეს, მაგრამ მას ექნება გავლენა თბილისის მერზე, მერის გადაწყვეტილებებზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

***– როგორ?***

– მაგალითად, საკრებულოში მოპოვებული უმრავლესობის საფუძველზე, ან გახარიასთან ერთად შექმნას უმრავლესობა და ა.შ. წვრილ-წვრილი პარტიები, რომლებიც ჯამშიც ვერ აგროვებენ 3%-ს, მათთან ცალ-ცალკე მოლაპარაკებები თუ ერთად, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

ამდენად, გახარია იბრძოლებს არა პირველი ადგილისთვის, არამედ თბილისზე, გადაწყვეტილებებზე, პოლიტიკურ პროცესზე გავლენისთვის. ეს ახლადდაფუძნებული პოლიტიკური ძალისთვის მნიშვნელოვანი სასტარტო შედეგი იქნება.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ გახარიას მიზანი უფრო სხვა რამეა, ვიდრე პროცესებზე გავლენა, თუნდაც ჩააჩოჩოს ნაციონალური მოძრაობა და მიიღოს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი?***

– გრძელვადიან პერსპექტივაში ეს არ არის გამორიცხული და ამ საკითხზე შეიძლება მსჯელობა.



**ლევან ალაფიშვილი:**
**„კალაძე-გახარიას შეხვედრა კალაძემ დამალა, რადგან შეეშინდა, შიგნიდან ვინმე რამეს ხომ არ „მიჩალიჩებსო“. ვერ გაერკვა, იფიქრა, ხაფანგი ხომ არ არისო. შემდეგ ისე შეფუთა პარტიამ, კობახიძემ, ფული მოგვთხოვაო, რომ გახარიამ ძალიან კარგად გამოიყენა“**

მაგრამ, რამდენიმე თვეში ეს რომ შეძლო, მაშინ ძალიან ძლიერი რესურსი უნდა გქონდეს, ძალიან ძლიერი უნდა იყო ყველა მიმართულებით ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური, გამართული პარტიით. ვინ ვინ და ყველაზე კარგად იცის გახარიამ, რომ ეს პრეტენზია ჯერ ვერ ექნება. ადგილობრივ არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა რომ ჩაანაცვლო და აღარ იყოს მეორე ძალა, ეს ძალიან უტოპიური იქნებოდა. რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას, მაგალითად, 2024 წლისთვის ეს შეიძლება იყოს განხილვის საგანი, თუმცა, ცხადია, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ იმუშავებს, დაუშვებს თუ არა შეცდომებს. როგორ ნაბიჯებს გადადგამს.

სიმართლე გითხრათ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მგონია არა პირველი თუ მეორე პოლიტიკური ძალის სტატუსი, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალის სტატუსი, რომ ჩემ გარეშე ვერ შეძლოს ვერც ერთმა გადაწყვეტილების მიღება, რომ მე შემეძლოს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა. ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მგონია. სწორედ ამისთვის იბრძვის ახლა გახარია.

***– მთელი ეს პერიოდი არჩევნები ორპოლუსიანია. ეს მოცემულობა რამდენად შეიცვლება?***

– ვერ შეიცვლება, რადგან მთავარი პოლიტიკურ ძალები თავიანთ სტრატეგიას სწორედ ამ ორპოლუსიანობაზე აგებენ, რადგან ეს მოცემულობა აწყობთ. დღესაც ვუყურებთ, „ქართულ ოცნებას“ მთელი წინასაარჩევნო კამპანია როგორ აქვს აგებული ნაციონალურ მოძრაობაზე და პირიქით – ნაციონალურ მოძრაობას – „ქართულ ოცნებაზე“, რასაც, რა თქმა უნდა, მათი მხარდამჭერები იზიარებენ. ერთადერთი, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს ოპოზიციური ფლანგის გაერთიანებასა და საერთოს ძიებას. სავარაუდოდ, ორპოლუსიანობა არ შეიცვლება, რადგან სტრატეგიულად ეს არც ერთს აწყობს და არც მეორეს.

***– როგორ ფიქრობთ, გახარიასა და კალაძის შეხვედრის მიზანი რა შეიძლება ყოფილიყო? მით უფრო, კალაძემ თავიდან უარყო შეხვედრა.***

– თავიდან ეს შეხვედრა კალაძემ დამალა, რადგან შეეშინდა, შიგნიდან ვინმე რამეს ხომ არ „მიჩალიჩებსო“, ვერ გაერკვა, იფიქრა, ხაფანგი ხომ არ არისო. შემდეგ ისე შეფუთა პარტიამ, კობახიძემ, ფული მოგვთხოვაო, რომ გახარიამ ძალიან კარგად გამოიყენა. გახარიას არაერთხელ უთქვამს, რომ ის კონსტრუქციული პოლიტიკის მომხრეა. ამ შეხვედრის რეალური მიზეზი რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ მე არ გამკვირვებია გახარიას მხრიდან ღიად მერიაში მისვლა და კალაძისთვის თქმა, არჩევნებში ვიღებ მონაწილეობას და ეს არ მინდა, ტელევიზორიდან გაიგოო. ეს ახსნა დამაჯერებელია, თუმცა, რასაკვირველია, ქართული რეალობისთვის რთულად სარწმუნოა. დასავლური პოლიტიკისთვის ეს უცხო არ არის. დასავლეთში ასე იქცევიან. როგორი დაპირისპირებულიც არ უნდა იყო, ადამიანობა არ უნდა დაკარგო, რომ დაპირისპირებულ მხარეებს სამშობლო აერთიანებთ, თუმცა ოპონენტები გახარიას ყოველთვის შეახსენებენ წარსულს, იყო კი თვითონ პოლიტიკური შურისძიებისგან თავისუფალი?!

## ამირან გამყრელიძე: „აცრის პირველ დოზაზე დაჯავშნის კლების ტენდენცია გაჩნდა“



– კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველ დოზებზე, სამწუხაროდ, ტენდენცია გაჩნდა დაჯავშნის მოკლების – თუ ჩვენ სექტემბერ-ოქტომბერში გავაკეთებთ მილიონ-მილიონ აცრას, სერიოზულად გავტეხთ წელში ამ პანდემიას.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „პოლიტ-ქალაქში“ განაცხადა.

ამირან გამყრელიძის თქმით, სექტემბერ-ოქტომბერი კრიტიკული პერიოდია.

– ქვეყანაში ფაიზერის 700 ათასი თავისუფალი დოზაა, ყოველდღე მოსახლეობას ვეუბნები – დაჯავშნეთ. პირველ დოზებზე, სამწუხაროდ, ტენდენცია გაჩნდა დაჯავშნის მოკლების. დღეში 24 ათასი აცრა გვაქვს საშუალოდ და ეს კარგია, მაგრამ მინდა, რომ სექტემბერში იყოს 30 ათასი აცრა დღეში იმიტომ, რომ სექტემბერ-ოქტომბერი ჩვენთვის არის კრიტიკული.

თუ ჩვენ სექტემბერ-ოქტომბერში გავაკეთებთ მილიონ-მილიონ აცრას, სერიოზულად გავტეხთ წელში ამ პანდემიას, – განაცხადა გამყრელიძემ.

# „სააკაშვილს უკრაინაში არანაირი გავლენა არა აქვს“

## მირიან მირიანაშვილი: „ამერიკელები ივანიშვილ-სააკაშვილის გაუთავებელმა პოლიტიკურმა თამაშებმა გაანაწყენა“

მარიამ მჭედლიშვილი

**რა არის ცნობილი აშშ-ის წარმომადგენლების შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილთან? რა თამაშებში ჩართეს გახარია? რის გამო საუბრობენ ირონიულად საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე? რისთვის იყენებს რუსეთი საქართველოს? რატომ ვერ გაჰყვა სააკაშვილი ზელენსკის აშშ-ში? რამ განაპირობა ნაცმოძრაობის მოულოდნელი მიერთება მიშელის დოკუმენტთან? რა მიიღო უკრაინამ? რატომ შეიყვანა საკუთარი თავი ჩიხში „ქართულმა ოცნებამ“? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.**



***— გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილთან თბილისში შეხვედრა ჰქონდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ორ წარმომადგენელს და მათ ივანიშვილს პოლიტიკიდან რეალურად წასვლა მოსთხოვეს. თქვენ რას იტყვით?***

— ასეთი შეხვედრა მართლაც გაიმართა. არჩევნების მონიტორინგის ჯგუფის წევრები ესაუბრნენ ბიძინა ივანიშვილს. ბიძინა ივანიშვილს რომ საკუთარი მომავლის შესახებ შეკითხვები აქვს, ამერიკიდან კი ურჩიეს, უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, ამასწინათ გესაუბრეთ. ეს შეხვედრაც ამ თემის გაგრძელებაა. ამერიკაში დარწმუნებული არიან, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა დეკორაცია და ფიქციაა. უცხოეთში გადაწყვეტილებების მიმღებად ისევ ივანიშვილს თვლიან. ივანიშვილია დღემდე წარმმართველი როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ისე სახელმწიფო დონეზე. სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებებს და არა ღარიბაშვილი, კობახიძე და მდინარაძე. შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო პოლიტიკური სპექტაკლები. ამერიკელები გაანაწყენა ივანიშვილ-სააკაშვილის გაუთავებელმა რუსულმა პოლიტიკურმა სპექტაკლებმა. ბოლო ხანს პოლიტიკურ პიესაში აქტიურად ჩართეს გახარია. ივანიშვილმა ჩათვალა, რომ გახარიას პარტიას გაუჭირდება პარტიული სიით ბევრი ადამიანის გაყვანა თბილისის საკრებულოში. ამიტომ რამდენიმე კაცი ამ სიიდან „ქართული ოცნების“ სიაში გადმოწერეს. შემდგომში იგეგმება ყალბი დაპირისპირებების გათამაშება, რომლის შედეგად ეს პირები უკან, გახარიას პარტიაში გადმობარგდებიან და გახარიას ეყოლება უმრავლესობა. ეს იქნება კოალიციური მმართველობის მონახაზი.

***— ამერიკელები ამ თამაშებს ეწინააღმდეგებიან?***

— რასაკვირველია. ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე ირონიულად საუბრობენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. თურქეთით დაწყებული, უკრაინით დამთავრებული, ყველამ იცის, ვინ როგორ მართავს ერთი სისტემის პარტიებს. ისიც უწყიან, რომ ამ პარტიებს შორის კინკლაობა სპექტაკლია. სხვებზე მეტი ინფორმაცია ამერიკელებს აქვთ. მათ პოლიტიკური თეატრი მობეზრდათ.

***— საქართველოს მოსახლეობამ რა იცის ამის შესახებ?***

— მოსახლეობა ნელ-ნელა იღებს ინფორმაციას. ჩახედულებმა ყალბი პოლიტიკური დაპირისპირების შესახებ კარგა ხანია იციან.

***— როცა ბრკოლდებოდა მიშელის დოკუმენტის სასამართლოს რეფორმირების კომპონენტის შესრულება, მაშინ თქვით, რომ „ოცნება“ ასრულებს სურკოვის დავალებას. მოგვიანებით „ოცნებამ“ გამოაცხადა, რომ ტოვებს ამ შეთანხმებას. მაშინ აღნიშნეთ, რომ ივანიშვილი ამ ნაბიჯით ვაშინგტონს უსვამს შეკითხვებს საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე. ახლა რა ხდება, როცა საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა ევროკავშირის შეღავათიან კრედიტზე?***

— ახლა ერთად მოიყარა თავი ბევრმა კომპონენტმა. პირველ რიგში სათქმელია ის, რომ ამ კრედიტს საქართველო ისედაც ვერ იღებდა.

***— ბევრმა თქვა, რომ საქართველომ ევროკავშირს დაასწრო.***

— აქ რუსეთის ფაქტორიცაა. ამერიკამ დიდი სატკივარი გაუჩინა რუსეთს ავღანეთის სახით. რუსეთი ასეთ პოზიციაზეა — თქვენ თუ ავღანეთში მიქმნით პრობლემებს, მე თავისტკივილს გიჩენთ საქართველოში.

***— რუსული პროპაგანდის თანახმად, აშშ-მ აზიაში უდიდესი ფიასკო განიცადა და იგივე ელის უკრაინას.***

— ეს არის რუსეთის სურვილი. ჯერ ერთი, აზიაშიც რუსეთს გაუჩნდა პრობლემა. მეორეც, აშშ აღმოსავლეთ ევროპიდან არ გადის. პირიქით, აქ უფრო მყარად იკიდებს ფეხს. აშშ აძლიერებს თავის გავლენას უკრაინასა და საქართველოში. ეს დაადასტურა ზელენსკის წარმატებულმა ვიზიტმა ვაშინგტონში. ზელენსკის ახლდა დაახლოებით ასკაციანი დელეგაცია. სააკაშვილმა ძალღონე არ დაზოგა, რომ როგორმე დელეგაციაში მოხვედრილიყო, მაგრამ ამაოდ. ამან დაამტკიცა, რომ სააკაშვილს არანაირი გავლენა არა აქვს უკრაინაში. ამ დროს რუსეთი ყველანაირად ცდილობს სააკაშვილის გააქტიურებას როგორც უკრაინის, ისე საქართველოს პოლიტიკაში.

***— ამერიკელები ამას ეწინააღმდეგებიან?***

— ფაქტია, რომ სააკაშვილმა უამრავი წერილი გაგზავნა კონგრესსა და სენატში, ბევრი იწვალა, მაგრამ ასკაციან დელეგაციაში ვერ მოხვდა. სააკაშვილი რომ ზელენსკისთან ერთად ამერიკაში ჩასულიყო, ამას აქაურებიც აიტაცებდნენ.

***— სააკაშვილის მომხრეებს სჯერათ, რომ უკრაინაში ის გადაწყვეტილებების მიმღებია და ძალიან გავლენიანი ფიგურაა.***

— ეს რომ ასე არაა, ამ ნაბიჯმა დაამტკიცა. ამერიკაში უკრაინის დელეგაციის ვიზიტამდე სააკაშვილმა ერთი ხერხიც გამოიყენა — ნაციონალური მოძრაობის მიშელის შეთანხმებასთან მიერთება.

***— ამით უნდოდა, ამერიკელების გული მოეგო?***

— ალბათ. რომ ვერ მოიგო, ფაქტია. ამიტომ გააკეთა სენატორმა ჯიმ რიშმა ამაზე ირონიული კომენტარი.

***— მან თქვა, რომ ნაციონალური მოძრაობის ეს ნაბიჯი დაგვიანებულია.***

— დიახ. ნაციონალურ მოძრაობას ფსევდოამერიკელობა და ფსევდოდასავლელობა ჩაეფუშა. ზელენსკის ვიზიტი უმნიშვნელოვანესია. უკრაინა, ისრაელის მსგავსად, აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე გახდა. საქართველოსთვისაც ყველაზე უკეთესი ესაა. თუმცა ნაცქოცური პოლიტელიტა ამას არ იზამს. ეს სისტემა რუსეთის მიერ გავლებულ წითელ ხაზებს არ გადავა.

***— სასამართლო რეფორმის გაუტარებლობა რის ნიშანია?***

— ესეც რუსული სისტემის ბრალია. სასამართლო სისტემის რენოვაცია, რომელიც ჰაერივით სჭირდება ჩვენს ქვეყანას, რუსულ გარემოში შეუძლებელია. რუსეთის გავლენა საქართველოში დგას სამ რამეზე — ესაა სასამართლო, პოლიტიკური სისტემა (პარტიები) და უშიშროება. ამ სამი კომპონენტით ხორციელდება რუსეთის პირდაპირი მმართველობა. ამიტომ არ მიდიან სასამართლოს რეფორმირებაზე. ამიტომ ხდება უცნაური ამბები, რომლებიც მიეწერება ღარიბაშვილის სიჯიუტესა და კობახიძის უხეშობას. ნაცქოცური ელიტა არ ატარებს სასამართლო რეფორმას, მაგრამ სასამართლო რეფორმა გარდაუვალია. სამართლიანი სასამართლო ყველა ჩვენგანს გვჭირდება. გარდა ამისა, ესაა რუსული გავლენის შესუსტების საფეხური. პროცესი დაწყებულია, ქრონომეტრაჟი — ჩართული. პანდემიამ ეს შეანელა, თუმცა ტრენდი არ გაჩერებულა. საქართველო მოექცა, ერთი მხრივ, სურკოვის წნეხში, მეორე მხრივ, ამას ეწინააღმდეგება აშშ-ის ელჩი დეგნანი.

***— მუდმივად საუბრობთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც მომავალ წელს უნდა გაიმართოს. ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ 2024 წლამდე საპარლამენტო არჩევნები არ გაიმართება.***

— ივანიშვილმა კულუარებში ღარიბაშვილზე ერთი ფრაზა თქვა. მან ყველას ურჩია, ღარიბაშვილის გამონათქვამებს ყურადღება არ მიაქციონ. კიდევ ერთი — ეს ადამიანი ვერ ერკვევა საერთაშორისო სამართალში. მიშელის დოკუმენტის მედიატორები და გარანტორები არიან აშშ და ევროკავშირი. ეს იმას ნიშნავს, რომ რომელიმე მონაწილე ცალმხრივად ვერ დატოვებს დოკუმენტს. თუ „ქართულ ოცნებას“ გამოსვლა უნდა, მონაწილეებს უნდა წარუდგინოს დეტალური და საფუძვლიანი არგუმენტები. ამის შემდეგ დაიწყება კოლექტიური მსჯელობა და ასე მიიღება გადაწყვეტილება. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი გადაწყვეტილებებითა და განცხადებებით თავი დაიზიანა და ჩიხში შეიყვანა. ასე ვთქვათ, „ოცნებამ“ ჩიხი გაიჩალიჩა. აშშ-ის ელჩზე თავდასხმებიც ცუდად მოუბრუნდებათ სურკოვის მითითებების შემსრულებელ მმართველ პარტიასა და ოპოზიციას.

# საქართველოში ემიგრანტებს უცხოელ ინვესტორებზე მეტი ფული შემოაქვთ

ბოლო რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობას აღმავალი ტენდენცია აქვს.

უცხოეთიდან გადმორიცხვების რეკორდული მაჩვენებელი გასულ წელს დაფიქსირდა — 1,886 მლრდ აშშ დოლარი. მოსალოდნელია, რომ ეს მაჩვენებელი მაღალი იქნება მიმდინარე წელსაც, რადგან 7 თვის განმავლობაში ქვეყანაში ემიგრანტებმა უკვე 1,291 მლრდ აშშ დოლარი გამოგვიგზავნეს.

ის ფაქტი, რომ ფულადი გზავნილების მაჩვენებელი მაღალი ტემპით იზრდება, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობა პერსპექტივას არა საქართველოში, არამედ სხვა ქვეყანაში ეძებს, მათ შორის, შემოსავლების თვალსაზრისითაც.

აქ ყველაზე საინტერესო ის გარემოებაც არის, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ემიგრანტებს უფრო მეტი უცხოური ვალუტა შემოაქვთ საქართველოში, ვიდრე ამას უცხოელი ინვესტორები აკეთებენ. 2018 წელს ქვეყანაში ჯამში 1,317 მლრდ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,580 მლრდ დოლარი შეადგინა. 2019 წელს უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,336 მლრდ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა ფულადი გზავნილები 1,933 მლრდ დოლარი იყო.

უკვე 2020 წელს, პანდემიის პირობებში ინვესტიციების შემოდინების მოცულობამ რადიკალურად იკლო და 572 მლნ დოლარი შეადგინა და ეს მაშინ, როცა ფულადი გზავნილები რეკორდულ ნიშნულამდე გაიზარდა და 1,886 მლრდ დოლარი შეადგინა. ვითარება არც მიმდინარე წელს შეცვლილა. 2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოში 132,2 მლნ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, იმავე პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა კი 499 მლნ დოლარი იყო.

ცხადია, საქართველოს მსგავს პატარა და ღია ტიპის ეკონომიკისთვის უცხოური ინვესტიციები დიდ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ჯანსაღი ინვესტიციები ხელს უწყობს წარმოების წახალისებას, რაც იწვევს დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას. ამასთან, იზრდება ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი, რაც ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას მოსახლეობისთვის უფრო მეტი გააკეთოს. თუმცა, მარტო ამ შედარებითაც კარგად ჩანს, თუ რა მდგომარეობაშია ეკონომიკა და როგორ უჭირს ქვეყანას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით.

საკითხში გარკვეული ადამიანები ინვესტიციების სიმცირეს საქართველოში სხვადასხვაგვარად ხსნიან. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არგუმენტი, რომელსაც მთავრობა ამ მიმართულებით იყენებს, განათლების დაბალი დონეა, რაც ხელს უშლის ინვესტორს, რომ საქართველოში ფული ჩადოს. თუმცა, იმავე არგუმენტს იშველიებენ სხვა პრობლემების მიმართულებით, მაგალითად, უმუშევრობის, სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი ტემპებისა და ა.შ.

რა თქმა უნდა, ინვესტიციების შემოდინების შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის პრობლემაც იყოს, მაგრამ ზოგადად სამყაროში ერთ დამოკიდებულ ცვლადზე სხვადასხვა დამოუკიდებელი ცვლადი შეიძლება მოქმედებდეს. აქ მთავარი ისაა, თუ რომელ ცვლადს უფრო დიდი გავლენა აქვს დამოკიდებულ ცვლადზე. ასე მაგალითად, როცა ადამიანი გადაწყვეტს, რომ წავიდეს სავაჭრო ცენტრში, ამ გადაწყვეტილებაზე შეიძლება რამდენიმე დამოუკიდებელი ცვლადი ახდენდეს გავლენას, მათ შორის, ტანსაცმლის აუცილებლობა, განტვირთვა ან დროის გაყვანა. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის გადაწყვეტილებაზე, სავაჭრო ცენტრში წასულიყო, 90%-იანი გავლენა ტანსაცმლის აუცილებლობამ განაპირობა, მაშინ გამოდის, რომ მთავარი ფაქტორი სწორედ ეს ყოფილა და არა განტვირთვა ან დროის გაყვანა. ასე ხდება უცხოური ინვესტიციების შემთხვევაშიც, გამომდინარე იქიდან, რომ მთავარ პრობლემებზე აქცენტირება ფართო მასშტაბით არ ხდება.

ინვესტიციების შემცირების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხია. საერთაშორისო ინდექსებიც სწორედ ამაზე მიუთითებს. ეკონომიკის თავისუფლების ინდექსში საქართველოს ყველაზე დაბალი შეფასება სწორედ კანონის უზენაესობის მიმართულებით აქვს. ამას ემატება კორუფციის აღქმის დონეც. კერძოდ, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ამ თვალსაზრისით პროგრესი არ ჰქონია და 2019 წლის მოცემულობის მსგავსად, 2020 წელსაც კორუფციის აღქმის ინდექსში საკმაოდ სოლიდური — 56 ქულა ჰქონდა, რაც ქვეყნისთვის პრობლემაა.

ბანალური შეკითხვა, რას გააკეთებდით, მილიონი რომ გქონდეთ, ცოტა რომ შევცვალოთ და მეტი გულწრფელობისთვის საკუთარ თავს ვკითხოთ: მილიონი დოლარი რომ გვქონდეს, დავაბანდებდით თუ არა იმ ქვეყანაში, სადაც მაღალია კორუფციის აღქმის ინდექსი და დაბალია სასამართლოს სისტემის მიმართ ნდობა?

დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, თუ რა პასუხს მივიღებდით.

ბაბენი

# „გახარიას „ფეიკპარტია“ ივანიშვილმა შექმნა და მათ ერთი პატრონი ჰყავთ რუსეთში“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

— რა თქმა უნდა. ერთი ხელით ამბობს, რომ ვითომ კორექტულია და მეორე ხელით, როგორც კი სააკაშვილზე მიდგება საქმე, ამ ყველაფერს ივიწყებს. რაც ამათ საქმეები ატრიალეს, არც ერთს პასუხი არ უგია, ამ დროს ერთი პრემიერია და მეორე დედაქალაქის მერობაზე იყრის კენჭს.

ვიყოთ ობიექტურები და ვიტყვი, რომ 7 ნოემბრის, 26 მაისისა და გირგვლიანის გამო მე ოპოზიციაში ვიყავი, მაგრამ მითხარით, რომელი არ გააკეთეს ამათ?! — თვალების დათხრა, ჟურნალისტების ცემა, ქვების სროლა, ბოტებისა და ტროლების დაფინანსება თუ რა?!

***— უკვე ტოლობის ნიშანი დაისვა წინა და ახლანდელ ხელისუფლებებს შორის?***

— არ არის ასე? რა განსხვავებაა?! განსხვავება რაც არის, ამასაც გეტყვით. ახლა ვხვდები და იშიფრება ამ გადმოსახედიდან, რომ ბევრ რამეს რუსეთის უშიშროება განზრახ აკეთებდა.

***— მაშინდელ ოპოზიციაში ჰქონდა „ჩადებული“ რაღაცები?***

— რა თქმა უნდა, ნალმები იყო ჩადებული ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ. აქ ორი აზრი არ არსებობს. ზმას გავაკეთებ შაბათს გასულ ჩანაწერზე. მაშინ ლომაია იყო უშიშროების საბჭოს მდივანი, 2010 წელს კი — გიგა ბოკერია. მასალებთან წვდომა ჰქონდა უშიშროებას. დიდი ბოდიში, მაგრამ იმავე აშშ-ში პრეზიდენტი პენტაგონს კი არ აკონტროლებს. სახელმწიფოს უსაფრთხოება იმიტომ არსებობს, რომ ინფორმაცია პრეზიდენტის ყურამდე მიიტანონ. შეუძლებელია, პრეზიდენტმა გააკონტროლოს ყველაფერი.

***— ანუ ბოკერიასა და ლომაიას პასუხისმგებლობას გამოკვეთთ?***

— რა თქმა უნდა. 2008 წელს უშიშროებას ხელმძღვანელობდა ლომაია და ლეგიტიმურ კითხვას ვსვამ, როგორც ჟურნალისტი. გამორიცხულია, ეს ინფორმაცია სააკაშვილს ჰქონოდა და თავის თავს ხომ არ გამოუთხრიდა ძირს! 2010 წელს უკვე ბოკერიაა უშიშროების საბჭოს უფროსი, ანუ 2008 წლის შემდეგ ყველა ინფორმაციაზე წვდომა ჰქონდა ორივეს, ბოკერიასაც და ლომაიასაც. ფაქტი ხომ არის, რომ ინფორმაცია აქამდე დამალული იყო!

***— რა ეჭვები გიჩნდებათ, რატომ იყო დამალული?***

— დავწერე კიდეც სოციალურ ქსელში, რომ საქართველოში პოლიტიკანები რომელიღაცა პოლიტიკოსის ჟანრზე ცხოვრობენ, ან უფრო უარესი ბრალდებაა.

***— სახელმწიფო ღალატი?***

— ვინაიდან არ ვიმეტებ ხოლმე უარესი ბრალდებისთვის და ნამდვილად არ მაქვს ასე საუბრის უფლება, ამიტომ მინდა, უფრო კომპლექსებს, ბოღმასა და შურს დავაბრალო.

***— ანუ მაშინაც ებრძოდნენ სააკაშვილს?***

— აბა რა, რუსეთი ებრძოდა, აბა რას აკეთებდა!

***— არა, ლომაიასა და ბოკერიაზე გეკითხებით.***

— ვერ გეტყვით. ბრძოლა არ არის?! მეტი დათვური სამსახური პრეზიდენტს რა შეიძლება გაუკეთო, ვიდრე ამხელა ინფორმაცია დამალო!

***— იქნებ მიაწოდეს მაშინ პრეზიდენტს ინფორმაცია, რა იცით, რომ ეს არ გაუკეთებიათ?***

— ამას ლოგიკით გამოვრიცხავ. ეს ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილს რომ ჰქონოდა, საკუთარ თავს ხომ არ ამოითხრიდა! მე ძალიან კარგად მახსოვს პატარკაციშვილის პერიოდი. გარდაცვლილებზე ან კარგს ლაპარაკობენ, ან არაფერსო. მომიტევეთ, მაგრამ მე მაქვს უფლება, რომ კარგი ნამდვილად არ ვილაპარაკო, ოჯახი დამისვა ნალმზე. რაღაც ინფორმაციები მაქვს და ამიტომ გავყვირი ბოლო ხმაზე. რუსული ძალა დიდი დოზით იყო შემოსული. მე არ შემიძლია, ხელი დავადო ადამიანებს, მაგრამ, კითხვა რომ დავსვა, შემიძლია და ვსვამ ამ კითხვას. ეს კითხვა გაუჩნდა ყველა ქართველს ამ ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ. სად იყო უშიშროების საბჭო? — ბოკერიას ყველაფერზე რომ პრეტენზია აქვს, თითქოს ყველაფრის მცოდნეა, სად იყვნენ ეგ და ლომაია?! რატომ არ მივიდა ასეთი საშიში ინფორმაცია იმ წერტილამდე, სადამდეც უნდა მისულიყო?! დიდ ქვეყნებში პირველი პირების პოლიტიკურ ინფორმაციასაც კი აკონტროლებენ, რომელიც ეხება მათ და, შესაბამისად — ქვეყნის უსაფრთხოებას.

საქმისთვის ვამბობ და არა პიროვნულად. ამიტომ გავიძახოდი, რუსულ ვექტორს გავემიჯნოთ-მეთქი. სხვა რესურსი აგენტურის გასაშიფრად არ გვაქვს. რომ დასრულდება ყველაფერი და ქვეყანა დაადგება დასავლურ გზას ნორმალურად, მერე ყველამ იღვაწოს ჩვენი გამოჯანმრთელებული და დემოკრატიული ქვეყნისთვის. როგორ გეკადრებათ, ვინმეს რამეს კი არ ვუშლი, ყველა ქართველს ვუფრთხილდები. ბრძოლის დროს არ შეიძლება ვექტორის არევა, ხალხი იბნევა.

# პოლიციამ დიდძალი იარაღი ამოიღო და 6 პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა დროს შიდა ქართლში, აჭარაში, სვანეთსა და თბილისში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს და 6 პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 1981 წელს დაბადებული ა.ხ., 1981 წელს დაბადებული ჯ.ლ., 1989 წელს დაბადებული გ.დ., 1973 წელს დაბადებული თ. ც., 1988 წელს დაბადებული ნ.გ. და 1970 წელს დაბადებული გ.ჯ.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა ჯ.ლ. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მისივე მართვის ქვეშ არსებული ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, აღნიშნული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „გლოკ 43"-ის მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 11 საბრძოლო ვაზნა და 2 მჭიდი. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ა.ხ.-მ „გლოკ 43"-ის მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 11 საბრძოლო ვაზნა მართლსაწინააღმდეგოდ გაასაღა თავის ნაცნობ ჯ.ლ.-ზე, ამ უკანასკნელმა კი ცეცხლსასროლი იარაღი შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეიძინა.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ბრალდებული გ.დ.-ის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, კუსტარულად გადაჭრილი თოფი და 12 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ასევე ნივთმტკიცების სახით ამოღებულია კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 75 საბრძოლო ვაზნა.

მესტიის რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა, ბრალდებული თ.ც.-ის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს „აკ-74"-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებული ნ.გ.-ის ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს „ჩეზეს" ფირმის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 8 ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გ.ჯ.-ის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 15 ვაზნა და 1 მჭიდი ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, უკანონო გასაღებისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს.

## „ლაშა ბექაურის ნათესავმა და კიდევ 4-მა პირმა იძალადეს ჩემზე"

### რა მოხდა გორში



გორში საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ ირმა ამბარდნიშვილს თავს დაესხნენ. ქალი ყვება, რომ მას 5 ადამიანი ფიზიკურად გაუსწორდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ესროლეს სხვადასხვა ნივთი, მინის ნატეხი და იარაღით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.

დეპუტატი ამბობს, რომ 5 თავდამსხმელიდან 3 წარსულში მძიმე დანაშაულისთვისაა ნასამართლევი. მოძალადეებიდან ერთი მსოფლიო ჩემპიონის, ლაშა ბექაურის ნათესავია, გარდა ამისა, მას ნათესაური კავშირის შსს-ს მაღალჩინოსანთანაც აქვს.

დეპუტატი ვარაუდობს, რომ თავდამსხმელი სწორედ ამ კავშირების გამო არ დააკავეს.

– გამოვიძახე საპატრულო პოლიცია მას შემდეგ, რაც ჩემზე მოხდა ფიზიკური ძალადობა ჯგუფურად, მესროლეს სიცოცხლისთვის საშიში ნივთები, მივიღე დაზიანებები. მოვიდა პატრული, შსს-ს მაღალჩინოსნისა და ლაშა ბექაურის დასახელების შემდეგ, რომ ის არის მათი ნათესავი და ვერაფერს უზამდნენ, მოკრძალებულად ელოდებოდნენ, აგინებინეს ჩემი თავი. 126-ე მუხლით დაიწყო, ადმინისტრაციული ჯარიმით შემოიფარგლნენ, – ამბობს ირმა ამბარდნიშვილი.

## ქობულეთში მდინარეში მამაკაცი დაიხრჩო

ქობულეთში მდინარეში მამაკაცი დაიხრჩო. ცხედარი 4 სექტემბერს, დილით იპოვეს მაშველებმა. გარდაცვლილი დაახლოებით 70 წლის კაცია. ის სოფელ ალამბარში ცხოვრობდა.

„ბათუმელებს" ადგილობრივებმა უთხრეს, რომ კაცი საღამოს საქონლის მოსაძებნად წავიდა და აღარ დაბრუნებულა. მისი ცხედარი მაშველებმა მდინარე აჭყვაში იპოვეს სოფელ გვარასთან. ეს სოფელი ქალაქ ქობულეთთან ახლოს მდებარეობს. 3 სექტემბერს ქობულეთში ძლიერი წვიმის გამო რამდენიმე სოფელი დაიმეწყრა, იყო ქარბორბალაც.

## ირაკლი ღარიბაშვილის ვაქცინაციაზე რეგისტრაციის კანონიერების შესწავლა დაიწყო

სახელმწიფო ინსპექტორმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვაქცინაციის მეორე დოზაზე რეგისტრაციის კანონიერების შემოწმების ფაქტზე მოკვლევა დაიწყო.

„2021 წლის 3 სექტემბერს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გასული სიუჟეტით და ამავე ფაქტზე მოქალაქეთა მომართვით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პერსონალური მონაცემების გამოყენებით, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, ჟურნალისტმა პრემიერ-მინისტრი დაარეგისტრირა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრის მეორე დოზის გაკეთების მიზნით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაიწყო ვაქცინაციის პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა სუბიექტის რეგისტრაციის პროცესის კანონიერების შემოწმება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მოუწოდებს ყველა პირს, თავი შეიკავოს, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე, ზემოაღნიშნულ სისტემაში კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრაზე პირთა თვითნებური დარეგისტრირებისგან, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვა პირთა უფლებების დარღვევა და ხელი არ შეეშალოს ვაქცინაციის პროცესის ადმინისტრირებას", – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ავთო ხურციძე: „სასჯელს მკვლელებთან და კაციჭამიებთან ვიხდი"

უკვე რამდენიმე წელია, რაც საშუალო წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველი მოკრივე ავთანდილ ხურციძე ამერიკის შეერთებულ შტატებში სასჯელს იხდის.

ქართველ სპორტსმენს ბრალი ორგანიზებული დანაშაულისა და კრიმინალურ ავტორიტეტებთან კავშირის გამო დაედო, რის შედეგადაც 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

ბოლო ცნობების თანახმად, ხურციძე ციხიდან დახმარებას ითხოვს.

– დამნაშავე არა ვარ და არც თავისუფლების იმედი დამიკარგავს. გული იმაზე მწყდება, რომ ჩემს საქმეს „რუსი მაფიოზი" აწერია და სწორედ ასე გამასამართლეს, მიუხედავად იმისა, რომ პროცესს ოთხი ქართველი თარჯიმანი მითარგმნიდა.

ვინმე დამეხმარეთ ან მთავრობას ხმა მიაწვდინეთ. სასჯელს მკვლელებთან და კაციჭამიებთან ვიხდი, მაგრამ კიდევ უფრო მკაცრ საპატიმროში რომ გადამიყვანონ, ვპირდები ქართველ ხალხს, რომ ჩემი პატიოსნებით, დისციპლინითა და რეჟიმით, მაინც პირველი ვიქნები!

„ქუჩისა" და „ძველი ბიჭი" არასდროს ვყოფილვარ, სიმართლის, პატიოსნებისა და ვაჟკაცობისთვის კი გაქანებულ მატარებელს დავეტაკები და დატაკებულიც ვარ, – წერს მოკრივე.

## საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის ყოფილ რეზიდენტ მრჩეველთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართეს

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის ყოფილ რეზიდენტ მრჩეველთან სამართლებრივ საკითხებში, მაიკლ გრანტთან, გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართეს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ, მაიკლ გრანტს პროკურატურის სისტემის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

„მაიკლ გრანტმა მადლობა გადაუხადა საქართველოს გენერალურ პროკურორს, ირაკლი შოთაძეს და პროკურატურის თანამშრომლებს ერთობლივი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და წარმატებები უსურვა მათ.

გენერალურ პროკურატურაში გამართულ ღონისძიებაზე, საქართველოს პროკურატურის და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების და მიღწეული შედეგების შესახებ, ასევე საქართველოს პროკურატურის რეფორმირების პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე გაამახვილეს ყურადღება.

ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის ყოფილ რეზიდენტ მრჩეველს მაიკლ გრანტს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა და იგი ლანა ოუვენსმა შეცვალა", – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ადვოკატი ქამრალი ამჯანოღლი: „კოვიდინფიცირებული პატიმარი ტარიელ პაგაშვილი შიმშილობს"



კოვიდინფიცირებული პატიმარი გლდანის მე-8 დაწესებულებიდან კლინიკა „ვივა მედში" გადაიყვანეს.

მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც შიმშილობა დაიწყო. ბრალდებული ტარიელ პაგაშვილი უარს ამბობს მედიკამენტების მიღებაზე.

პროტესტის ამ ფორმით პატიმარი მის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლის საქმის გადახედვას და გამოძიების ხელახლა დაწყებას ითხოვს.

უფლებადამცველი ამბობს, რომ საგამოძიებო უწყება მას ბრალად იმ დანაშაულს სდებს, რომელიც არ ჩაუდენია.

– საქმის მასალებით არაფერი არ დასტურდება. ბრალდების მხარის მიერ გადმოცემულია კამერის ჩანაწერები, დაახლოებით 16 საათი. დეტალურად ჩემ მიერ შესწავლილ იქნა ეს მასალები და არსად არ ჩანს, რომ ტარიელ პაგაშვილი სადმე ფიქსირდება. მას უნდა მხოლოდ ერთი რალაც – სამართლიანად იქნეს გადაწყვეტილება მის საქმეში, – ამბობს ადვოკატი ქამრალი ამჯანოღლი.

კოვიდინფიცირებული პაციენტი უკვე 5 დღეა, შიმშილობს და ამავდროულად უარს ამბობს მედიკამენტების მიღებაზეც.

## ზესტაფონის სასაფლაოზე ირაკლი ღიბრაძე მოკლული იპოვეს

30 აგვისტოს ზესტაფონში 32 წლის ირაკლი ღიბრაძე მამის საფლავზე გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც ,,მეგა ტვ"-ს წყარო უყვება, ახალგაზრდა მამაკაცის გვერდით ცეცხლსასროლი იარაღიც ეგდო. მისივე თქმით, არსებობს ეჭვი, რომ მან თავი მოიკლა, თუმცა ახლობლებს ამის არ სჯერათ.

ერთ-ერთი ვერსიით, ახალგაზრდა კაცს 300.000 ჰქონდა ვალი, საიდან მხოლოდ 100.000-ის გასტუმრება მოახერხა, რის გამოც ის შესაძლოა მოკლეს.

ახალგაზრდა მამაკაცს 20 წლის ორსული მეუღლე დარჩა, მათ რამდენიმე დღის წინ ბავშვის სქესის გაგების ცერემონია ჰქონდათ და გოგოს ელოდებოდნენ.

## „07:15 საათზე საკანში გელა უმიკიშვილი ცოცხალი იყო, 15 წუთში კი პოლიციას გარდაცვლილი დახვდა"

### რა მოხდა თესალონიკის ციხეში

26 აგვისტოს თესალონიკში ქართველმა პატიმარმა ემიგრანტმა გელა უმიკიშვილმა სიცოცხლე საკანში სუიციდით დაასრულა.

23 აგვისტოს 48 წლის გელა უმიკიშვილმა საკუთარი პარტნიორი, 55 წლის ქალი, დანით მოკლა.

თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე ამბის დეტალებს ყვება:

– 2021 წლის 23 აგვისტოს მკვლელობაში ბრალდებული საცხოვრებელ ბინაში თავს თავის პარტნიორ ქალს დაესხა და დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა. აფექტის მდგომარეობაში ის დანით თავადაც იყენებდა თვითდაზიანებებს ხელის არეში. შემდეგ მკვლელობაში ბრალდებულმა შემთხვევის ადგილი დატოვა და მიიმალა.

მომხდარი ფაქტის შემდეგ საბერძნეთის პოლიცია ბრალდებულს 7 საათის განმავლობაში ეძებდა. დღის ბოლოს კი ის თესალონიკის სანაპიროზე დააკავეს.

პოლიციაში მიყვანის შემდეგ მას ჭრილობები დაუმუშავეს. 24 აგვისტოს ბრალდებულს ექსპერტიზა ჩაუტარდა, სადაც კიდევ ერთხელ მოხდა თვითდაზიანებით მიყენებული ჭრილობების დამუშავება და სახვევების დადება.

26 აგვისტოს, 07:15 საათზე, პოლიციის მიერ განხორციელებული შემოვლის დროს, მკვლელობაში ბრალდებული ცოცხალი იყო, ხოლო 15 წუთში, განმეორებითი შემოვლის დროს, ბრალდებული პოლიციას უკვე გარდაცვლილი დახვდა.

მან ხელზე არსებული სახვევებით თავი მოიკლა. პოლიციის მიერ საკანში აღმოჩენილ იქნა ბრალდებულის მიერ დედისა და ძმის სახელზე ქართულ ენაზე დაწერილი წერილი.

## შსს-ში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაციასთან ონლაინშეხვედრა გაიმართა



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მაღალი დონის დელეგაციასთან ონლაინშეხვედრა გამართა. NDI-ს სახელით შეხვედრას ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოში პერ ეკლუნდი უძღვებოდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოში მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განიხილეს და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე.

ონლაინ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ორგანიზაციის „ეროვნული მხარდაჭერა დემოკრატიისათვის" (NED) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და NDI-ის ყოფილი პრეზიდენტი კენ უოლაკი; აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის უფროსი სპეციალისტი ჰანა თობურნი; აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წარმომადგენელი ბენ კუპერი; NDI-ის ევრაზიის რეგიონული თანადირექტორი მელისა მუსიო; NDI-ის არჩევნების პროგრამების დირექტორი პეტ მერლო და NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი ალან გილამი.

## იტალიაში ვაქცინაცია შეიძლება სავალდებულო გახდეს

იტალიის პრემიერ-მინისტრმა მარიო დრაგიმ დაუშვა, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია შეიძლება სავალდებულო გახდეს.

მარიო დრაგის თქმით, როგორც კი ევროპის წამლის სააგენტო ვაქცინებს სრულად დაამტკიცებს, ვაქცინაცია იტალიელებისთვის სავალდებულო შეიძლება გახდეს.



– ვალდებულება ამოქმედდება მაშინ, როდესაც ვაქცინა ევროპის წამლის სააგენტოსა და ეროვნული მარეგულირებლის მიერ გამოცხადებული იქნება, არა როგორც გადაუდებელი გამოყენებისთვის განკუთვნილი, არამედ, როგორც ჩვეულებრივი პრეპარატი, – აღნიშნა იტალიის პრემიერ-მინისტრმა.

23 ივლისს იტალიის მთავრობამ არავაქცინირებული მოქალაქეებისთვის შეზღუდვები დაამტკიცა.

5 აგვისტოდან სტადიონებზე, მუზეუმებში, თეატრებში, კინოთეატრებში, საგამოფენო ცენტრებსა და სპორტდარბაზებში შესვლა მხოლოდ „მწვანე საშვის" წარდგენის შემთხვევაშია შესაძლებელი.

აღნიშნული დოკუმენტი ასევე საჭიროა დახურული ტიპის რესტორნებში მომსახურების მისაღებად.

## თალიბებმა ქალების მიტინგი ცრემლსადენი გაზით დაშალეს

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში თალიბებმა ქალების საპროტესტო აქციის დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.



პროტესტი ძალადობაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც თალიბანის ძალებმა მომიტინგეებს პრეზიდენტის სასახლისკენ მსვლელობის უფლება არ მისცეს.

ავღანეთის დედაქალაქში ქალები საკუთარი უფლებების დაცვის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს რამდენიმე დღეა, მართავენ.

## გვინეის პრეზიდენტი სამხედროებმა დააკავეს

გვინეაში ქვეყნის პრეზიდენტი ალფა კონდე სამხედროებმა დააკავეს.

სპეცდანიშნულების რაზმსა და მის მეთაურს მამადი დუმბუიას აყვანილი ჰყავთ ქვეყნის სხვა მაღალჩინოსნებიც.

გვინეაში დედაქალაქ კონაკრისკენ საავტომობილო მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ სამხედროებს აქვთ გადაკეტილი, თუმცა ამ დროისთვის უცნობია, რა არის ამის მიზეზი.

გუშინ, 5 სექტემბერს, დილით, კონაკრის სამთავრობო კვარტალში ინტენსიური სროლის ხმა ისმოდა.



ქალაქის ქუჩებში მრავლად არიან სამხედროები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მამაკაცმა ლეოპარდის თავდასხმა ნამგლით მოიგერია



ინდოეთის უტარაკხანდის შტატში მამაკაცმა, რომელსაც ლეოპარდი თავს დაესხა, მტაცებლის მოგერიება ნამგლის დახმარებით შეძლო.

39 წლის მწყემსი ნარეშ სინგხ საუნი მტაცებელს საკუთარ სოფელში შეეჩეხა. როდესაც ლეოპარდი ბუჩქებიდან გამოხტა და მის ერთ-ერთ თხას თავს დაესხა, მამაკაცმა მისი დაფრთხობა ყვირილით ცადა, მაგრამ ამის პასუხად მტაცებელმა თხას თავი დაანება და თავად მწყემს დაესხა თავს.

– თავდაპირველად გავოგნდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ თუ რაიმეს არ ვიღონებდი, დავიღუპებოდი, – იხსენებს ინდოელი.

საუნმა ლეოპარდს ნამგალი დაარტყა, რომელიც ხელთ აღმოაჩნდა. დაჭრილი ცხოველი გაიქცა, მაგრამ მალე უგონოდ დაეცა და მოკვდა.

– ლეოპარდის მოკვლას საერთოდ არ ვაპირებდი, – განმარტა საუნმა, – ეს მოულოდნელად და უნებურად გამოვიდა, როდესაც საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ვცდილობდი.

ინდოეთში ლეოპარდის მოკვლა კანონით აკრძალულია და ისჯება, მაგრამ ამ შემთხვევაში მწყემსს სასჯელი არ ემუქრება, ვინაიდან საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ცდილობდა.

## შეყვარებულზე გასათხოვებლად იაპონელი პრინცესა სიმდიდრეზე უარს ამბობს



იაპონიის პრინცესა მაკო უარს იტყვის სამეფო სიმდიდრეზე დაბალი წრის წარმომადგენელ შეყვარებულზე გასათხოვებლად.

ოთხ წელზე მეტია, პრინცესა ცდილობს, ცოლად გაჰყვეს თავის თანაკურსელ კეი კომუროს, მაგრამ ყოველ ჯერზე ხელს სხვადასხვა გარემოება უშლიდა. იაპონური პრესა ქორწილის გაჭიანურებას კომუროს დედის ფინანსურ პრობლემებს უკავშირებდა, რომელსაც, გავრცელებული ხმების თანახმად, თავისი ყოფილი შეყვარებულის რამდენიმე მილიონი იენი მართებდა.

ქორწილის დასაჩქარებლად მაკომ გადაწყვიტა, უარი თქვას იმ ფულზე, რომელიც იაპონელ პრინცესებს ეძლევათ უბრალო ადამიანთან დაქორწინების შემთხვევაში. ზუსტი თანხა უცნობია, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ის, შესაძლოა, 157 მილიონ იენს აღემატებოდეს. გარდა ამისა, პრინცესას გათხოვება ყოველგვარი ტრადიციული ცერემონიის გარეშე სურს, რომელიც გათვალისწინებულია სამეფო ქორწილის დროს. ქორწილის შემდეგ კი პრინცესა მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად აშშ-ში გადასვლას აპირებს.

## ქალმა სოციალური ქსელით გაიგო, რომ გამდიდრდა




ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ბარგოს მცხოვრებმა საკუთარი გამდიდრების შესახებ მას შემდეგ გაიგო, რაც ფეისბუქში გამოქვეყნებული ინფორმაცია ნახა.

ქალის თქმით, ლატარიის ბილეთი კი შეიძინა, მაგრამ გათამაშების შედეგები მანამდე არ შეუმოწმებია, სანამ მოგების შესახებ სოციალური ქსელიდან არ შეიტყო.

– ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი. ვნახე, რომ ვიღაცამ მთავარი პრიზი ჩვენს ქალაქში მოიგო და გამარჯვებულს ვერ პოულობდნენ, – განაცხადა ქალმა.

ავსტრალიელმა თავისი ბილეთის შესამოწმებლად სასწრაფოდ ახალი ამბების სააგენტოს მიმართა. აღმოჩნდა, რომ მისმა მოგებამ 3,5 მილიონი ავსტრალიური დოლარი შეადგინა.

– არც კი მახსოვს, შემდეგ რა ხდებოდა, გაოგნებისგან გონება გამეთიშა. ფეხები მიკანკალებდა. ბოლოს საკუთარი თავის ხელში აყვანა დამჭირდა, – აღნიშნა იღბლიანმა ავსტრალიელმა.

მისი თქმით, მოგებული თანხის წყალობით ის პენსიაზე გავა და ნერვულ სამუშაოს თავს დაანებებს. ასევე ქალი მოგებული თანხის ნაწილს ქველმოქმედებისთვის გაიღებს.

## ზვიგენების თავდასხმის შედეგად სტუდენტი გოგონა კინაღამ უხელოდ დარჩა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ბოკა-რატონის მცხოვრებ 19 წლის სტუდენტ სოფია სკროგის ბაჰამიზე ოჯახთან ერთად დასვენების დროს თავს ზვიგენები დაესხნენ და კინაღამ უხელოდ დატოვეს.

ივლისის დასაწყისში ამერიკელი გოგონა ოჯახთან ერთად ბაჰამიზე ისვენებდა. ერთ დღესაც სოფია უმცროს და ოლივიასთან ერთად წყალში ჩახტა, რათა გრძელკუდიანი გუბანი შუბით დაეჭირა, თუმცა მას შემდეგ, რაც თევზი დაიჭირეს და წყლიდან ამოსვლას აპირებდნენ, მოულოდნელად ზვიგენებს გადააწყდნენ.

– მე თევზი მეჭირა, შემდეგ რაც მახსოვს, ისაა, რომ ზვიგენი სახეში დამეტაკა, პანიკამ მომიცვა, შემდეგ კი დავინახე, თუ როგორ გაწითლდა წყალი ჩემი სისხლისგან, – იხსენებს სოფია.

სისხლმა კიდევ ერთი მტაცებელი თევზი მიიზიდა, რომელიც ასევე თავს დაესხა გოგონას და მას მარჯვენა ხელში ჩააფრინდა. გოგონას უმცროსმა დამ მტაცებელს ცხვირში ჩასცხო, როგორც ეს მამამ ასწავლა, ზვიგენმა ყბები გახსნა და გოგონას თავი დაანება. სოფიამ ყვირილი მორთო და შველას ითხოვდა. დაშავებულის უფროსმა დამ ნიკოლმა სოფია ნავში აიყვანა და ჭრილობა პირსახოცით გადაუხვია.

საათ-ნახევრის შემდეგ სტუდენტი გოგონა ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაშავებული ხელის აღსადგენად სოფიას ორი ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, ვინაიდან თავდასხმის დროს ზვიგენმა მას ხუთი მყესი დაუზიანა. ასევე ექიმებმა გოგონას ერთ-ერთი თითიდან ზვიგენის კბილი ამოაცალეს.

## ბრიტნი სპირსის მამამ მეურვეობაზე უარის სანაცვლოდ 2 მილიონი მოითხოვა



ამერიკელი პოპ-მომღერლის ბრიტნი სპირსის მამა, რომელმაც თანხმობა განაცხადა უარი თქვას საკუთარი ქალიშვილის მეურვეობაზე, ამისთვის 2 მილიონ დოლარს ითხოვს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სანამ საბოლოოდ იტყვის უარს შვილის მეურვეობაზე, ჯეიმს სპირსს იმედი აქვს, რომ ქალიშვილის ხარჯზე შეძლებს სასამართლო ხარჯების გასტუმრებას და ასევე ფულს გადაუხდის კომპანია ტრი სთარს, რომელიც ადრე მომღერალთან თანამშრომლობდა. გავრცელებული ინფორმაციით, საერთო ჯამში საუბარია დაახლოებით ორ მილიონ დოლარზე.



მომღერლის ადვოკატები ბრიტნის მამის ამ მოთხოვნას გამოძალვის მცდელობად აფასებენ. მომღერლის ადვოკატ მეთიუ როზენგარტის თქმით, ჯეიმს სპირსს ქალიშვილის მძევლად ყოლის უფლება არ აქვს და მეურვეობაზე უარის თქმის სანაცვლოდ სხვადასხვა პირობები წამოაყენოს. თავად ბრიტნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მამამისმა უკვე აღიარა, რომ უარს ამბობს მეურვეობაზე მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ახლა კი უბრალოდ ცდილობს, რაც შეიძლება მეტი თანხა მიისაკუთროს.

## უბრალო სამკაული, რომელიც ოჯახში ინახებოდა, ძვირფასი ნივთი აღმოჩნდა



ლონდონელმა ქალბატონმა შეიტყო, რომ ნივთი, რომელიც 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მის ოჯახში ინახებოდა, 20 ათას ფუნტ სტერლინგად ღირებულ სამკაულს წარმოადგენდა.

ქალმა ტელეგადაცემის ექსპერტ ჯონი ბენჯამინს მიუტანა ბროში აკვამარინით და ბრილიანტებით, რომელიც ოდესღაც მისი მეუღლის პაპას ეკუთვნოდა. მან თქვა, რომ 1920-30 წლებში მეუღლის პაპამ ბრაზილიაში იყიდა აკვამარინი. მოგვიანებით მან ქვა ბროშში ჩასვა, რომლითაც ქალმა ქალიშვილის ქორწილში კაბა დაიმშვენა.

ბენჯამინი გააოცა საიუველირო ნაკეთობამ და გაკვირვებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ წლების მანძილზე ის ყუთში ეგდო და მტვერი ედებოდა.

– ასეთი ზომის, ფერის და სილამაზის აკვამარინი დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ბროშის ჩარჩო 18 კარატიანი ოქროსგანაა დამზადებული და ბრილიანტებით შემკული. სავარაუდოდ ის 1960-იან წლებშია დამზადებული. ნიშნავს ეს იმას, რომ ის ყუთში 30-40 წელი ეგდო და მტვერი ედებოდა? – იკითხა ბეჯამინმა. მისი თქმით, ქვა 75 კარატს იწონის.

– ეს ხარისხის და ზომის მწვერვალია. თუ თქვენ მის გასაყიდად გამოტანას აპირებთ, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აკვამარინები ფასობს გაჯერებული და ღრმა ცისფერი ფერის გამო, – აღნიშნა ექსპერტმა, რომელმაც სამკაულის საწყის ღირებულებად 20 ათასი ფუნტი სტერლინგი დაასახელა.

## 24 წლის მამაკაცი საცოლის თვალწინ დაიღუპა




ინგლისის დერბიშირის საგრაფოს ქალაქ დერბის მცხოვრები 24 წლის ჯეკ უოტსონი საღამოს წვეულებაზე საცოლესთან ერთად იმყოფებოდა. იქ მან დალია, კიბიდან ჩამოვარდა და შეყვარებულის თვალწინ დაიღუპა.

2019 წლის 30 ნოემბერს უოტსონი და მისი საცოლე ალექსა ჰიკოკი ქალაქის სტადიონიდან გამოდიოდნენ, სადაც საშობაო საღამო ტარდებოდა, რომლის ორგანიზატორიც იყო ის კომპანია, რომელშიც მამაკაცი მუშაობდა. მან დალია და წასვლისას გადაწყვიტა, კიბის მოაჯირზე შემომჯდარი, მეორე სართულიდან პირველზე ჩამოსრიალებულიყო, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ჩამოვარდა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარება მივიდა, მაგრამ ახალგაზრდა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ექიმებმა მისი გარდაცვალება დააფიქსირეს.

მიმდინარე წლის 1 სექტემბერს დასრულდა მომხდარის გამოძიება, რომელმაც დაადგინა, რომ უოტსონი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. ექსპერტიზამ გაკვეთით დაადგინა, რომ ახალგაზრდა მამაკაცის დაღუპვა თავის ტრავმამ გამოიწვია.

## პრინც ჰარისა და მეგან მარკლს სოლიდური ვალი აღმოაჩნდათ



ბრიტანეთის პრინც ჰარისა და მისი მეუღლის მეგან მარკლის ყოფილ ფონდს SussexRoyal-ს არაკომერციული ორგანიზაციის 78,5 ათასი ფუნტი სტერლინგის დავალიანება აღმოაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ წყვილს მასმედიასთან მრავალმილიონიანი გარიგება ჰქონდა დადებული.

სახსრები არაკომერციულმა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს, რომლის სახელწოდება საბუთებში მითითებული არ არის. ფონდი ვალდებული იყო, 213 ათასი ფუნტი სტერლინგი ერთი წლის ვადაში დაებრუნებინა, თუმცა ამ დროისთვის 134,5 ათასი ფუნტი სტერლინგია დაბრუნებული.

ალსანიშნავია, რომ სასექსის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ ერთი წლის განმავლობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მრავალრიცხოვანი კონტრაქტები გააფორმეს და ამით 118 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოიმუშავეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ბასილაშვილი ოპელკასთან დამარცხდა



ამერიკის ღია პირველობას ნიკოლოზ ბასილაშვილი მესამე წრეში დაემშვიდობა. ჩვენებური მასპინძელ რეილი ოპელკასთან 6:7; 3:6; 4:6 დამარცხდა.

211-სანტიმეტრიან ოპელკას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჩაწოდება აქვს. სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რითიც ამერიკელმა მატჩი მოიგო. მართალია, ნიკა სხვა კომპონენტებშიც ჩამორჩა მეტოქეს, მაგრამ ესეც იმ ჩაწოდების გამოძახილი იყო.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირველ და მეორე სეტში ჩვენებური ბრეიკით იგებდა. ორივეჯერ დასაწყისშივე აართვა მეტოქეს ჩაწოდება, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. ბასილაშვილმა პირველი სეტი ტაი ბრეიკზე დათმო, ხოლო მეორეში საკუთარი ჩაწოდება სამჯერ წააგო.

მესამე სეტში თანაბარი ბრძოლა იყო და ოპელკამ მე-10 გეიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი.

# თბილისის დინამო ისევ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს




იტალიის დედაქალაქ რომში წყალბურთის ჩემპიონთა ლიგის 2021-22 წლების სეზონის წილისყრა გაიმართა, სადაც დინამო თბილისის მეტოქეები გაირკვა. ქართული კლუბი ჩემპიონთა ლიგაზე ა ჯგუფში მოხვდა, სადაც დინამოს 4 მეტოქე ცნობილია, ხოლო კიდევ 2 მეტოქეს საკვალიფიკაციო ეტაპი გაარკვევს.

დინამოს ჯგუფში კარგად ნაცნობი მეტოქეები მოხვდნენ: ფერენცვაროში (უნგრეთი), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), ბარსელონეტა (ესპანეთი), ნოვი ბელგრადი და რადნიჩკი (ორივე სერბეთი). პლუს 2 გუნდი ითამაშებს, რომლებიც საკვალიფიკაციო ეტაპს გაივლიან.

**გიორგი ხვედელიანი, დინამო თბილისის პრეზიდენტი:**

– ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით, ხუთივე გუნდი გრანდია, მაგრამ შანსი გვაქვს, რომ ამ გუნდებს შესაბამისი კონკურენცია გავუწიოთ. წყალბურთელები უფრო მოტივირებული იქნებიან, რადგანაც 14 შეხვედრის გამართვა მოგვიწევს. ვფიქრობ, რომ გამოცდილების მიღებასთან ერთად, საკმაოდ კარგ შედეგებსაც ვაჩვენებთ.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სეზონი 26 ოქტომბერს დაიწყება. 8-გუნდიანი ჯგუფიდან 4 საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გადავა და ისინი რვათა ფინალში იასპარეზებენ, რომელიც ბელგრადში გაიმართება.

# ბარსელონა კრიზისიდან გამოდის




ბარსელონა ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევას ეტაპობრივად ახერხებს.

მესის წასვლის შემდეგ გუნდი ანტუან გრიზმანსაც დაემშვიდობა.

კონტრაქტის თანახმად, კლუბი ვალდებული იყო, გრიზმანისთვის 5 წლის განმავლობაში 95 მილიონი ევრო გადაეხადა. აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში გადასახადები არ შედიოდა.

ასევე კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელის ხელფასი ყოველწლიურად 1 მილიონით უნდა გაზრდილიყო. პლუს ამას გათვალისწინებული იყო საბონუსო სისტემაც, რომლის მიხედვითაც, ანტუანი დამატებით თანხებს ჩატარებული მატჩების, მოპოვებული ტიტულებისა და მის მიერ დაფიქსირებული შედეგების მიხედვით მიიღებდა.

ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, ბარსელონას ამ მომენტისთვის გრიზმანის მსგავსი კონტრაქტის მქონე ფეხბურთელების შენარჩუნების ფუფუნება არ ჰქონდა. მესის გაშვების შემდეგ ფრანგიც გაუშვეს, პიკეს, ბუსკეტსს, ალბასა და სერხი რობერტოს ხელფასები შეუმცირეს, ასევე იგეგმება კოუტინიოსა და უმტიტის შემთხვევაშიც. კლუბმა გაანათხოვრა პიანიჩიც, რომელსაც, სხვების მსგავსად, საკმაოდ დიდი ხელფასი ჰქონდა. გაიყიდნენ ემერსონი და მორიბა. საერთო ჯამში, ბარსამ მათ სანაცვლოდ 43 მილიონი ევრო მიიღო.

ლაპორტამ კლუბი ამოასუნთქა და ამ მომენტისთვის ბარსელონა ფინანსურად სიტუაციას ნელ-ნელა ასტაბილურებს, რაც მას მომდევნო სატრანსფერო ფანჯრებისთვის აქტიურობის საშუალებას მისცემს.

ეს ყველაფერი კლუბის წინა პრეზიდენტის ბართომეუს მცდარი პოლიტიკის შედეგია, რასაც პანდემიით მიღებული ფინანსური ზარალიც დაემატა.

აღსანიშნავია, რომ ტრიბუნებზე მაყურებელთა დაბრუნების შემდეგ კატალონიელთა შემოსავლები ზრდას დაიწყებს. უახლოეს დღეებში იგეგმება, რომ ესპანეთში კლუბებს ქომაგთა 60%-იანი დასწრების ნებას დართავენ.

მოკლედ, ბარსელონა ფინანსურ საქმეებს გამოასწორებს. ახლა მთავარია, შედეგებს მიეხედოს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ტრენტ ალექსანდრ არნოლდმა ნაკრებზე ისაუბრა



ლივერპულის მცველმა ტრენტ ალექსანდრ არნოლდმა ინგლისის ნაკრებზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში, თუ მწვრთნელი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს:

– ვფიქრობ, რომ ჩემს პოზიციაზე დიდი კონკურენციაა და, თუ ვერ შევძელი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა, შემიძლია, სხვა ადგილას ვითამაშო, ბუნებრივია, თუ ამას მწვრთნელი მოისურვებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# მსოფლიო ჩემპიონატი ყოველ ორ წელიწადში: ფიფას უნდა, უეფას – არა

საქმე ისე მიდის, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში უფრო მოკლე დროში ჩატარდეს, ანუ არა 4 წელიწადში ერთხელ, არამედ ყოველ მეორე წელს.

დიახ, ბატონებო, ფიფას გლობალური განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი, კარგად ცნობილი არსენ ვენგერი, აყენებს იდეას – ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატები ყოველ 2 წელიწადში ერთხელ!

ამ იდეის თანახმად, გამოდის, რომ ყოველ წელს ან მუნდიალით დავტკბებით, ან – ევროპის საფეხბურთო ფორუმით. რევოლუციური იდეის თაობაზე ლეგენდარულმა მწვრთნელმა ფრანგულ გამოცემა „ეკიპთან“ ისაუბრა, რომლის წაკითხვის შემდეგ ეს დასკვნები გამოვიტანეთ:

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი მატჩები ჩატარდეს წელიწადში 2-ჯერ – ოქტომბერსა და მარტში. ვენგერის სიტყვებით, ეს უზრუნველყოფს კალენდრის სიმარტივეს. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ფეხბურთელები დარჩებიან კლუბებში, ხოლო შემოდგომასა და გაზაფხულზე, ამ 2 დადგენილ პერიოდში, იქნებიან ნაკრებების განკარგულებაში;

კალენდარი უნდა შედგეს ისე, რომ ფეხბურთელებს ნაკლები ტრანსკონტინენტური გადაფრენები ჰქონდეთ. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ფეხბურთელების აღდგენის პროცესს ძალიან უშლის ხელს მოგზაურობები და კლიმატის ხშირი ცვლა;

71 წლის ვენგერის ყველაზე მნიშვნელოვანი თეზისი ასეთია: სისულელეა შესარჩევი ეტაპის წელიწად-ნახევარზე გაწელვა, მაშინ, როცა ეს შეიძლება, 4-5 კვირაში მოაქციო;

ვენგერი თვლის, რომ უარი უნდა ვთქვათ ახალი ტურნირების შემოღებაზე (ალბათ, ერთა ლიგას გულისხმობს) და მთელი აქცენტი დიდ ტურნირებზე გადავიტანოთ, რაც ფეხბურთის ხარისხს გაზრდის;

მისივე თქმით, ამ იდეას მხარი დაუჭირა ბევრმა ცნობილმა ფეხბურთელმა: რონალდომ, კაკამ, ხავიერ მასკერანომ, გარი ლინეკერემა... ხოლო 166-მა ფედერაციამ ფიფას სთხოვა, შეისწავლოს ამ იდეის განხორციელების შესაძლებლობა.

**არსენ ვენგერი:**

– ძალიან მინდა, რომ ეს საკითხი უკვე დეკემბერში გადაწყდეს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. ახლა მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ საფეხბურთო სამყარო შეთანხმდება და ცვლილება მოხდება, ის ძალაში შევა 2028 წლიდან, რადგან მსოფლიოს 2026 წლის ჩემპიონატის რეგლამენტი უკვე დამტკიცებულია. თავიდან ამ იდეას ყველა თავშეკავებით შეხვდა, მაგრამ, როცა ჩვენ ავუხსენით მათ მისი არსი, ხალხმა აზრი შეიცვალა.

არ ვიცით, ვის გულისხმობს ვენგერი, მაგრამ უეფა, მსოფლიო საფეხბურთო ოჯახის მთავარი წევრი, ჯერჯერობით რევოლუციური ცვლილებების წინააღმდეგია. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდენტი ალექსანდრ ჩეფერინი თითქოს ნაწყენიცაა იმის გამო, რომ ასეთ საკითხებზე მსჯელობა უეფას გარეშე მიმდინარეობს.

**ალექსანდრ ჩეფერინი:**

– უეფაში შემავალი ეროვნული ასოციაციები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ ფიფას გეგმების გამო. საკვირველია, რომ წინადადება ოფიციალურად არ არის დაყენებული და უკვე მიმდინარეობს სარეკლამო კამპანია.

როგორც ამბობენ, ამ რევოლუციის უკან დგას საუდის არაბეთის ფეხბურთის ხელისუფლება, რომლის აზრს უყურადღებოდ არ ტოვებს ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო.

# რეალს შეცდომებს უთვლიან

ჟურნალისტი ტომას რონსერო ამბობს, რომ მადრიდის რეალმა მაროკოელი აშრაფ ჰაკიმის გაშვებით დიდი შეცდომა დაუშვა.



**ტომას რონსერო:**

– როდესაც ჰაკიმის თამაშს ვუყურებ, ვხვდები, რომ მადრიდის რეალმა რონალდუს გაყიდვის შემდეგ ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ ჰაკიმის გასხვისების დროს დაუშვა. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც თანაბრად ეფექტურია როგორც დაცვის მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე, ასევე – გარემარბის პოზიციაზეც.

ვფიქრობ, „ბლანკოსს“ შანსი ჰქონდა, ფეხბურთელი მილანის ინტერიდან დაებრუნებინა, მაგრამ ახლა პოჩეტინოს განკარგულებაშია და, ეჭვი არ მეპარება, რომ საუკეთესო წლებს მაროკოელი სწორედ პსჟ-ში გაატარებს.

დღესდღეობით აშრაფს საკუთარ პოზიციაზე ერთ-ერთ საუკეთესო ფიგურად მივიჩნევ.

# შედეგები

## 4 სექტემბერი

### ფეხბურთი

**მჩ-2022. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| ფინეთი-ყაზახეთი | 1:0 |
| ირლანდია-აზერბაიჯანი | 1:1 |
| კვიპროსი-რუსეთი | 0:2 |
| ლატვია-ნორვეგია | 0:2 |
| სერბეთი-ლუქსემბურგი | 4:1 |
| სლოვენია-მალტა | 1:0 |
| გიბრალტარი-თურქეთი | 0:3 |
| ისრაელი-ავსტრია | 5:2 |
| ნიდერლანდები-ჩერნოგორია | 4:0 |
| სლოვაკეთი-ხორვატია | 0:1 |
| უკრაინა-საფრანგეთი | 1:1 |
| ფარერები-დანია | 0:1 |
| შოტლანდია-მოლდოვა | 1:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეიბარი-ლეგანესი | 1:1 |
| ტენერიფე-პონფერადინა | 2:0 |
| კარტახენა-სოსიედადი ბ | 1:0 |
| ალმერია-მალაგა | 2:0 |
| ფუენლაბრადა-ლუგო | 1:1 |

### ჩოგბურთი

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ივაშკა-ბერეტინი | 7:6,2:6,4:6,6:2,3:6 |
| სეპი-ოტტე | 3:6,4:6,6:2,5:7 |
| ჯოკოვიჩი-ნიშიკორი | 6:7,6:3,6:3,6:2 |
| მონფილსი-სინერი | 6:7,2:6,6:4,6:4,4:6 |
| კარაცევი-ბრუკსბი | 2:6,6:3,6:2,3:6,3:6 |
| ჰარისი-შაპოვალოვი | 6:4,6:4,6:4 |
| ბასილაშვილი-ოპელკა | 6:7,3:6,4:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| მინენი-ანდრეესკუ | 1:6,2:6 |
| კვიტოვა-საკარი | 4:6,3:6 |
| ბენჩიჩი-პეგულა | 6:2,6:4 |
| ტორმო-რადუკანუ | 0:6,1:6 |
| კონტევეიტი-შვიატეკი | 3:6,6:4,3:6 |
| პლიშკოვა-რომლიანოვიჩი | 6:3,6:2 |
| ბარტი-როჯერსი | 2:6,6:1,6:7 |
| გრაჩოვა-პავლუჩენკოვა | 1:6,4:6 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ებრაული სამლოცველო; 2. მუქი წითელი ფერის კურკოვანი ხილი; 3. მთავარი არტერია; 4. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 5. მოჩვენებითი მამაცობა; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. აშშ-ის პირველი პრეზიდენტი; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 16. გერმანული ფარმაცევტული კომპანია; 17. ქართველი მწერლის კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 20. შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. სამოქალაქო სამართალი; 7. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 9. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 13. არომატული მატონიზირებელი უალკოჰოლო სასმელი; 14. ბრაზილიური არაყი; 18. ფრანგული ვაშლის არაყი; 19. გემების სადგომი ნავსადგურში; 21. გურულების, აჭარლების, მესხების მოკლე ჩოხა; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 23. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 24. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ალბა; 2. ილორი; 3. დიორი; 5. შირაზი; 6. რაფინადი; 9. ტაიკონავტი; 10. კანდელაკი; 11. პოლიგამია; 14. წრე; 16. ორვილე; 18. სოჭი.

**თარაზულად:** 1. აპნისი; 4. ქაშანური; 7. ბორნეო; 8. რუსთავი; 12. გიენა; 13. აწყური; 15. ოდეონი; 17. ხაო; 19. ჰემოგლობინი; 20. გიუმი; 21. მიფუნე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ცერცვაძე; 2. ქსენონი; 3. ქლესა; 4. თაღლითი; 5. ლექსიკა; 10. დუმპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. ოპტანტი; 15. ფენოლოგია; 16. ფლეგმა; 17. ასპინძა; 20. ქანდა.

**თარაზულად:** 6. მეფისტოფელი; 7. მარსელო; 8. დიაფანი; 9. მადონა; 13. ტაბუ; 14. ჯულეპი; 18. ბაბანეური; 19. ესაძე; 21. თართი; 22. ვარცლი; 23. კარბონადო. 24. ასათიანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1196

ევრო — 3.7033

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3116

100 რუსული რუბლი — 4.2855

## ამინდის პროგნოზი 6 სექტემბრისათვის




## ლივერპული სალაჰს ჯერჯერობით ვერ უთანხმდება



ლივერპული და მოჰამედ სალაჰი ჯერჯერობით ახალ კონტრაქტზე ვერ თანხმდებიან და, არ არის გამორიცხული, მომავალი სეზონის ბოლოს სალაჰმა ლივერპული დატოვოს, თუმცა იურგენ კლოპი იმედოვნებს, რომ ლივერპული მოახერხებს სალაჰის დათანხმებას, რადგან კლოპისთვის ეგვიპტელი ფორვარდი ძალიან მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, სალაჰმა წლევანდელი სეზონი კარგად დაიწყო და მის გარეშე ლივერპულს წარმატების მიღწევა გაუჭირდება.

## კოუტინიო მოედანზე დასაბრუნებლად მზად არის



ბარსელონის ბრაზილიელი ნახევარმცველი ფელიპე კოუტინიო მოედანზე დასაბრუნებლად მზად არის და ამის შესახებ მცირე კომენტარიც გააკეთა.

კოუტინიოს თქმით, ის მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც ბურთს ისევ გააგორებს და ფეხბურთი ძალიან მოენატრა:

– ნამდვილად ბევრი გამოვტოვე ტრავმის გამო და მინდა, ეს დრო მაქსიმალურად ავანაზღაურო. ვიცი, რომ მწვრთნელის ნდობა ისევ უნდა მოვიპოვო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

●●●

სილამაზის სალონში შესული მამაკაცი სტილისტს ეკითხება:

– თმის შეჭრა რა ღირს?

– 15 ლარი.

– რა იყო, ნარკოზით მჭრი?!

●●●

კაცი სახლში რეკავს და კითხულობს:

– როგორ ხართ, როგორ?

– კარგად.

– უკაცრავად, მგონი, სხვაგან მოვხვდი.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, რა არის უსაფრთხო სექსი?

– როდესაც ქალმა არც შენი სახელი და გვარი იცის და არც მისამართი...

●●●

მამაკაცი ბანკში შევიდა და ოპერატორს ეკითხება:

– თქვენს ბანკში ანგარიშის გახსნა მინდა და ვის უნდა მივმართო?

– ფსიქიატრს!

●●●

კლიენტი ოფიციანტს ეუბნება:

– თუ შეიძლება, წაიღეთ და ეს მწყრები უფრო კარგად შეაწვევინეთ.

– რა, ცუდადაა შემწვარი?

– არ ვიცი, მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მთელი სალათი შემიჭამეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიორგი ღოღობერიძე წამყვანი გახდა



ექიმი გიორგი ღოღობერიძე ტელეწამყვანი გახდა.

„მთავარი დიაგნოზი" – ასე ეწოდება გადაცემას, რომელიც ტელეკომპანია „მთავარი არხის" ეთერში გავა.

გიორგი ღოღობერიძესთან ერთად მაყურებლისთვის საინტერესო და აქტუალურ კითხვებს სოფო ჯაფარიძე და ლევან ბუთხუზი უპასუხებენ.

## „მასტერშეფი" მეექვსე სეზონით ბრუნდება



კულინარიული შოუ „მასტერშეფი" მეექვსე სეზონით მაყურებელს უბრუნდება.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე შოუ 19 სექტემბერს აიღებს სტარტს და ახალი კონკურსანტებითა და განახლებული ჟიურის შემადგენლობით წარდგება საზოგადოების წინაშე.

ლუკა ნაჭყებიასა და კონსტანტინე თედელურს ჟიურის ამპლუაში თეკუნა გაჩეჩილაძე შეუერთდება. შესაბამისად, „მასტერშეფის" მეექვსე სეზონის ჟიურიში აღარ იქნება ლევან კობიაშვილი.

## მერაბ ბერძენიშვილის მეუღლე გარდაიცვალა



ცნობილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მეუღლე კირა მიქელაძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ინტერნეტში გავრცელდა:

– მწუხარებით ვიუწყებით. გარდაიცვალა ქალბატონი კირა მიქელაძე – ბატონი მერაბის მეუღლე. თანავუგრძნობთ ახლად შესვენებულის ოჯახსა და ყველა ახლობელს, – ნათქვამია სოციალურ ქსელში გვერდ „მერაბ ბერძენიშვილის" განცხადებაში.

## მაკა ზამბახიძე ბებიაა



მომღერალი მაკა ზამბახიძე ბებიაა. ახალი ამპლუა მას პატარა მიქაელმა მიანიჭა.

მაკას შვილმა სალომე ჩიტაძემ 20 წლის იუბილე რამდენიმე დღის წინ იზეიმა, ახლა კი უკვე ახალბედა დედაა.

**მაკა ზამბახიძე:**

– აბა, ახალგაზრდა ბებიას სათანადო მოლოცვები. მე ვამაყობ ჩემი ძლიერი სალომეთი. ეს იყო გამაოგნებელი საყურებელი, თუ როგორ იბრძოდა ბოლომდე თავის შვილთან შესახვედრად ყველანაირი გაუტკივარების გარეშე. მე დავესწარი და ამითაც ვამაყობ.

გილოცავ, ჩემო შვილო, მიქაელის დაბადებას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სასეირნოდ წასული მოზარდი ვეფხვის მსხვერპლი გახდა



ინდონეზიის კუნძულ სუმატრაზე უიშვიათესი სუმატრული ვეფხვი თავს დაესხა მოზარდს და დაგლიჯა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 16 წლის მალიკა აკფარელი მამასთან ერთად პალმის პლანტაციაში მშობლიური სოფლის შორიახლოს მუშაობდა. აღსანიშნავია, რომ დასახლება ნაკრძალის მახლობლად მდებარეობს, სადაც სწორედ სუმატრული ვეფხვები ბინადრობენ.

ბიჭმა მამას მუშაობიდან განთავისუფლება სთხოვა და ნებართვის მიღების შემდეგ გზით უახლოესი პორტისკენ გაემართა, ვინაიდან იქ მობილურ ტელეფონს უფრო უკეთესი მიღება ჰქონდა. მოზარდი გზაში გაუჩინარდა.

როდესაც მამა შვილის მოსაძებნად გაეშურა, მან მისი ტელეფონი და სისხლის კვალი აღმოაჩინა, რომელიც ტყისკენ მიემართებოდა. მოგვიანებით ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომლები სისხლის კვალს გაჰყვნენ და აკფარელის ცხედარს გადააწყდნენ.

– გარდაცვლილი მოზარდი საშინელ მდგომარეობაში აღმოვაჩინეთ, – განაცხადეს ბუნების დაცვის სამსახურში.

მოგვიანებით გამოჩნდა თვითმხილველების ჩვენება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აგრესიული ცხოველი თავს დაესხა ბიჭს, როდესაც ის გზაზე მიდიოდა. სავარაუდოდ, მტაცებლის პროვოცირება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ გზის განათება ჯერ არ იყო ჩართული და მოზარდს ბინდბუნდში უხდებოდა სიარული.

მომხდარის შემდეგ რიზუს პროვინციის ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ხაფანგები დადგეს მტაცებლის დასაჭერად, რათა შემდეგ ის მოსახლეობისგან მოშორებულ ადგილზე გადაიყვანონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სასტუმროს მცხოვრებმა დაწესებულების თანამშრომელი ანდერძში ჩაწერა და უზრუნველი ცხოვრება შეუქმნა



თურქეთის ქალაქ კუშადასის სასტუმროს თანამშრომელი ტასკინ დასდანი მისი დაწესებულების მდიდარი სტუმრის მემკვიდრე გახდა და ახლა უკვე შეუძლია სიცოცხლის ბოლომდე მუშაობით თავი აღარ შეიწუხოს.

დასდანი 1990 წლიდან სართულის მორიგედ მუშაობს. ერთხელ მან გაიცნო ბრიტანელი ტურისტი, სახელად ჩარლზ ჯორჯ კორტნი, რომელიც ყოველ წელს თურქეთში ისვენებდა. ის ყოველთვის გულუხვობას იჩენდა სასტუმროს თანამშრომლების მიმართ. ერთხელ ის დასდანის შვილის განათლების ხარჯების გასტუმრებაშიც დაეხმარა.

მიმდინარე წელს კორტნი გარდაიცვალა და მისმა ნათესავებმა მიიღეს მისი ანდერძი. აღმოჩნდა, რომ მამაკაცმა საკუთარი მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი სასტუმროს სართულის მორიგეს დაუტოვა. მას ანდერძში სასტუმროს სხვა თანამშრომლებიც ყავს მოხსენიებული, თუმცა მათ გაცილებით ნაკლები თანხა ერგოთ. ზუსტი თანხა, რომელიც დასდანმა მიიღო, არ სახელდება. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ გულუხვმა ბრიტანელმა სასტუმროს თანამშრომლისთვის სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველი ცხოვრება უზრუნველყო.

დასდანის თქმით, ის სამსახურიდან წასვლას არ აპირებს, ვინაიდან ძალიან უყვარს თავისი საქმე, რომელიც მას სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეების გაცნობის საშუალებას აძლევს და იქვე დაამატა, რომ ბრიტანელის გადაწყვეტილება მისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 6 სექტემბრისათვის

**ვერძი** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში; 2. ხალხური ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი; 3. მღრღნელი ჭია-მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თეატრალური ცეკვის ხელოვნება; 6. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისგან დამზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 16. კუთხე საქართველოში; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში.

**თარაზულად:** 1. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 4. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 8. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 12. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 13. ჩვილი ბავშვის საწოლი; 15. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ქართული სამეფო; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. ძველებური ინგლისური ოქროს მონეტა; 21. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

